

ლიტერატურული გაზეთი

№12 (340) 23 ივნისი - 6 ივლისი 2023

ბამოლის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

ლია სტურუა

ჩემი ოდისეა

როცა ბრუნდები,
მნიშვნელობა არ აქვს, სად,
უკან ბრუნდები
და ნახმარი სიტყვებით გხვდებიან,
რა შეგიძლია? უხერხული მეტაფორა?
— ვინ ხარ? — არავინ!
თავგადასავლებიც არაფერი?
ის ელვარება, დაუშვებელი ელვარება,
თითქმის, სკანდალი?
კი, ბრუნდები, კი,
მოქსოვილ სამშობლოს გაცმევენ,
ცოტა გიჭერს მინასავით, რომელსაც შეჭამ,
მზეზე სინათლის ქვითრები მოდის,
ზღვა ჯინსისაა,
გახეული ადგილებით ელვარე,
ხელში რძეს და პურს გაჩეჩებენ
(შეუძლებელი ტრანსფორმაცია),
როცა ბრმა ხარ, როცა რძე ზმნაა,
პურის არსებით სახელზე გადასხმული
და არა საგა მერძევეებზე და ხაბაზეებზე
თავის მოდგმის,
ზედსართავი — თავგადასავლების ატრიბუტი —
ცოტა სიმართლე და ბევრი ესთეტიკა,
ან პირიქით,
ყველა შემთხვევაში, უფრო ნამდვილი,
ვიდრე რეალური ბიოგრაფია...
და წერ და ხარ ასე
შენს ბემოლებით მოპირკეთებულ სამშობლოში...
IV

ზაალ ებანოიძე

და დასვამ კითხვას, და პასუხს ელი, —
გავიგო მეც მსურს და სმენას ვძაბავ,
და კაფავს აზრი, და კაფავს ხელი,
კაფავს უსიერს და უღრანს კაფავს.
და ჩნდება ბზარი, თავიდან მორცხვი, —
მერე თანდათან იხსნება სივრცე;
ჩვენ ყველა ვიფრენთ — რომ არა ხორცი
და ბიბლიური თიხა და სიბრძნე.
ამ სიბრძნემ მინის პატრონად დაგვსვა
(პატრონად წყალთა, წყალთა და ხმელთა);
და საყელოში აპრილის თავსხმა
ჩადის ამიტომ და ნაზად გვთენთავს.
რა, რა ვინატროთ ამაზე მეტი?
რა გამოვებათ კალათზე ნიავს? —
ეს არის თავბრუ, ეს არის რეტი,
ეს არის — რასაც სიცოცხლე ჰქვია.

X-XI

ვაჟა

ნინო დარბაისელი
კაკუნა ფირცხალაიშვილი
მარიამ გიორგაძე
ჯიმშერ შენგელია — დებიუტი

პროზა

ლევან სებისკვერაძე
ლერი ზივზივაძე
ხათუნა როგავა

ეპიგრამა

ლალი ავალიანი
თამაზ ბიბილურზე

ნაგაჟი

ნონა კუპრეიშვილი
საფო მგელაძეზე

თარგმანი

ჯონ მაქსველ კუტზეე

დღე უკანასკნელი — დღე პირველი

ჩემს ბავშვობაში თბილისში ერთი სომეხი მენაყინე დადიოდა. მელოტი იყო და ბავშვურ-დამპლურად „ქოჩორას“ ვეძახდით. მიხვიდოდი, ნაყინს მოგანვდიდა და თან მისი აზრით ბრძნულ, მაგრამ ბავშვისთვის ნამეტნავად უსიამოვნო შეგონებას მოაყოლებდა. მაგალითად, აი, ასეთ რამეს დააბრუნებდა: „შევიღწა, ცხოვრება კი ძალიან რთულია, მაგრამ კაცი თუ მოინდომებს, ყველაფრიდან კაი-კაი რაღაცები გამოვა! გაიგე?!“

რა ვიცი, რატომ გამახსენდა ის სომეხი მენაყინე თავისი დამთრგუნველი „სიბრძნეებით“, როდესაც ვნახე ხუთი კვადრატული მეტრის სიფართის ციციქა ოთახი კედლებზე გაკრული ერთ დროს პრიალა, გადახუნებული პლაკატებით, საიდანაც ასევე ერთ დროს პოპულარული გოგონები იცქირებოდნენ. ჩამოფხავებული კედლები და ჭერი, რომელზე შეჩერების დროსაც მისი მფლობელი ალბათ არაერთხელ დაპკვირვებია ლაქებისაგან ყოვლად მოულოდნელად გამოსახულ იტალიის რუკას თავისი „ჩექმის“ ჭვინვითა და სარდინიით. აქ არასოდეს მდგარა ტელევიზორი ან მაცივარი, სარეცხის მანქანა ან რაიმე სხვა ისეთი ნივთი, რაც ძველთაძველი პროპაგანდის მიხედვით დიასახლისებს თითქოს იმდენად დიდ სიამოვნებას ანიჭებდა, რომ ეს ქალები საბჭოურ სარეკლამო ფოტოებზე კიდით-კიდემდე ბედნიერი სახეებით გამოესახათ. აქ წლების მანძილზე მხოლოდ თავგების, მათი პირმშობა და ძველი კომპიუტერების ჩართვა-გამორთვის დამადასტურებელი წრიბინი და გასანმენდი „ქულრების“ ღმუილი ისმოდა.

გეგონა, სულ მუდამ ასე იქნებოდა... უწინდებურად ყოველ საღამოს მუშაობის დასრულების შემდეგ მოსახერხებელ ადგილზე გადალაგებდი ძველი კომპიუტერების ნაწილებს, მისწვე-მოსწვედი მაგიდებს, სადაც უღრმესი კუნჭულიდან გამოაძრობდი ქათმის ბუმბულმცვივალ ლეიბსა და საბანს და დანევებოდი ამ ელექტრომაგთულეობით, ძველი მონიტორებით, მტვრიანი „ქეისებით“ და სხვა ხარახურათი გარემოცვლი.

ეს ადგილი თითქმის უხსოვარი დროიდან შენი საბრძანის იყო და ბოლოს უკვე ისე მიეჩვიე ასე ცხოვრებას, რომ წერეთლის გამზირზე, ძველი კორპუსის ძირში მიქობილ ალაგას შეყუჟული ეს საცოდავი ნაგებობა სწორედაც რომ საკუთარ სახლად აღიქვი. შეიძლება გეგონა, ასე იქნებოდა ვიდრემდის მოხუცსა და მოფამფალე-ბულს ოდესმე, ვინმე კლიენტის დილით გიპოვიდა იმ შენს ქათმის ბუმბულსა და საბანს სულამოსულს.

ადრე, თუნდაც 15 წლის წინ, შენი ხელობა ჯერ კიდევ ფასობდა და იმ ძველ რაზრახა კომპიუტერებსაც ჯერ კიდევ სჭირდებოდა მიხედვით, გამწმენდი, სქემების შემცვლელ-გამორიარლებელი და კაცი, ვინც ერთხელ მაინც აუცილებლად ეტყოდა კლიენტს: „ეს კიდევ ათი წელი იმუშავებს ჯიგარო. ძველი „ვიდეოკარტა“ კი აქვს, მარა მუშაა, ბრატი!“

დრო უზიარა რამაა და სიახლეები იმაზე ბევრად სწრაფად მოიჩქარის ჩვენს, ვიდრე წარმოგვიდგენია. როგორც გუდაურის სასტუმროებში ფესვგადგმული „ტრენინგის ლომები“ ამტკიცებენ, დრო ებრძვის მათ, ვისაც ნოვაციებისთვის ფეხის აწყობა უჭირთ, სიახლეების მიღებისას ბარბაცებენ და მათ მუდმივ ნაფორთხილებების დროს სხვები (ეგ მაიმუნი ვირისთავები) არ ჩერდებიან, სულ სწავლობენ ახალ სისტემებს, ახალ პროგრამებს ამულამებენ, ნოვაციებს პირდაპირ ასწრებენ შემოსვლას და მათთვის მუდმივად კაი-კაი ოფისების კარია ღია. შენ კი, ვინც ასე კოჭლი ცხვარივით, სულ ბოლოს მიუყვები ცხოვრებას, ადრე თუ გვიან აღმოაჩენ, რომ უკვე აღარავის ჭირდება შენეული ძველი „ვინდოუს 2000“-ის გადაყენება, შენს მიერ ათასგზის დაშლილი ძველმოდური ტექნიკა და ეს ყველაფერი ისევე ივარება წარსულის მტვრით, როგორც ფეხსაცმლის მწმენდავის ერთ ჟამს დიდებული ხელობა

დაიფარა. გახსოვთ ფეხსაცმლის მწმენდავი ბიჭები? აი, ეგენი იყვნენ თუ იყვნენ! ზემელზე ერთი წუთითაც რომ გაჩერებულიყავი, ვინმე მოხერხებული ჯველი მოიჩვენდა და მცირედ დროში ისე ლაზათიანად გადაგიპირილებდა ჭვინვითა და ლაქის „ტუფლებს“ (იმას, რაც მაშინ გვეცვა სწორედ „ტუფლის“ თქმა უხდება) და ძალიან ფინთი ვინმე უნდა ყოფილიყავი ბიჭისთვის ლენინისთავიანი ერთმანეთიანი მაინც რომ არ მიგეცა.

ჰოდა, აი, ეგრეა, იმ ფეხსაცმლის მწმენდავი კარგი ბიჭებისავითაა შენი ამბავიც, მეგობარო.

რა ვქნა, როგორ დავმალე, რომ იანვრის ამ სუსხიან დილას შენს ძველთაძველ საბრძანისში ახელ თვალს და გახსენდება, რომ აქ ყოფნის ბოლო, სულ ბოლო დღეა.



იმ ამბავსაც ვერ გადავასხვავებ, რომ უკვე მეხუთე თვეა ვეღარ უხდი ქალბატონ მარგოს ამ ადგილის ვიქრას და მასაც ისლა დარჩენია გუდა-ნაბადის აკვრისკენ მოგიწოდოს. მასაც ეცოდები, განა მარგოს არა აქვს გული!..

ამ ოხერ-ტიალი კორონა-პანდემიის გამო ხალხი პურსა და მაკარონს უფრო ეტანება, ვიდრე კომპიუტერის ხელსაწილს. თან როგორი კომპიუტერის... ვიღაც აქვს ისეთი კომპიუტერები, შენ რისი გაკეთებაც იცი? ვიღაც ჭირდება კაცი, რომელიც შენს მიტანილ ძველ კომპიუტერს თვალმოჭუტვითა და პირის ცალ კუთხეში სიგარეტის ღეჭვით დაშლის, ყველაფერს „ფინით“ განმენდს, ძველთაძველ კაბულებს „ზაინიკით“ შეანებებს და ამ ყველაფერში 20 ლარს აიღებს?! განა შტერი ვინმე ხარ რომ თავად ვერ ხვდებოდე, როდის და რატომ დამთავრდა ის ყოველივე, რასაც შენს ცხოვრებას ეძახდნი? აქამდეც კი ხვდებოდი დაახლოებით როგორი იქნებოდა ბოლო, მაგრამ არ გინდოდა ამაზე ფიქრი და სულ ცდილობდი საკუთარ თავსაც კი არ გამოსტყდომოდი, გადაბარებდა აუცილებლად რომ მოგიწევდა. ეჰ, ვინ სად დამალულა ამ სინათლის ქალაქში...

მიღიხარ და სად? არის კი ალაგი, სადაც შენს საბანს, ორ ბალიშს, ერთ დაძინებულ ადილას, ორ ზენარს, სამ მორყეულ სკამს, კომპიუტერების მუდმივად დადებულ ალბისგან ერთიანად დაკარგულ სამ მაგიდას, ტუჩოტუჩილ ელექტრო ჩაიდანს, ექვს თევზს, ამდენივე ჭიქას, ერთ ტაფას, ერთ ქვავს, ხუთ ცალ დაბრეცილ ჩანგალს, ძველ, მაგრამ გემრიელად მჭრელ დანას, კედელზე მიღრესმულ ტანსაცმლის საკიდს და ჩამოფხავებულ კარადას წაიღებ? მე კი ვიცი, სადაც გადაგაქვს ეს ყველაფერი, მაგრამ ღირს კი თქმად?

გასულ კვირას ელიავას ბაზრობაზე პანდემიის დროს არსებული აკრძალვის მიუხედავად ჩუმად მომუშავე ბიჭებთან იყავი იმის იმედად, ეგებ ვინმეს „ვინდოუსის“ გადაყენება მაინც სდომებოდა, რომ პურის ფული გემოვა. ერთმა, ანონილმა, დღენი-ადაგ ნახევრად დალეული ლულის ბოთლი რომ ეჭირა ხელში, დაინუნუნა, რომ მას შემდეგ, რაც სკოლები და საბავშვო ბაღები დაიკეტა, მის ბავშვებს სახლში ისეთი ამბები ჰქონდათ განაღებულნი, ლამისაა ყველაფერი დალენონო. ჰოდა, აი, მაშინ გაგახსენდა შარშან ავტალაში ნანახი ძველი, დახურული, დანგრევისთვის გახაზირებული

ლი საბავშვო ბაღი, სადაც ბავშვები უკვე სამი წელია აღარ დადიან და არც ახალი ბაღის აშენებას დაეგია საშველი. ვის უნდა ახსოვდეს დაბზარულკედლებიანი საბავშვო ბაღი მაშინ, როდესაც ყველა იმაზე ფიქრობს, ნანატრი ანტივირუსული ვაკცინა როდის შემოვა ქვეყანაში და მათ სხეულში და ყველა როდის ამოისუნთქებს მათი, როგორც ახლა იციან ხოლმე თქმა, „მონყვლადი“ ფილტვებით.

ამ უტრანსპორტობაში იმ ბაღის დასაზვერად როგორ ნახვიდოდი, როცა ავტალაში წამსვლელი ტაქსისთვის მისაცემი ფული შეიძლება საჭმელში სამი დღე გეყოს. ჰოდა, აი, ასე, ალაღებდად გადაწყვიტე, რომ შენი მთელი ავლადიდება დღეს მოსალამოებულზე, როდესაც ზამთრის ბინდი და სახელგანთქმული ავტალური ნისლი



ერთად ჩამონება, მაშინ მიზიდო იმ ყოველი საბავშვო ბაღში და ისე დაიძალი, როგორც იმალება სიკვდილის შიში ყველა მათხოვარში და ზამთრებისას.

ღმერთმა გაახაროს ელიავას ბაზრობაზე ადრე გაცნობილი ფურგონის მძღოლი ზაზა, რომელიც დაგპირდა, რომ მთელს შენს ავლა-დიდებას უფასოდ მიგიტანს და ისიც კი გითხრა, რომ გული ეწვის, ასეთ დღეში რომ გხედავს. მაგრამ საღამომდე ჯერ კიდევ მთელი დღეა. დღე, რომელიც როგორც იმ ძველ, კეთილ ქართულ ფილმშია, არის უკანასკნელიც და პირველიც.

მოდი, ვიფიქროთ იმაზე, თუ რას გააკეთებდა ადამიანი, რომელსაც თავისი ქოხსახელოსნოდან აგდებენ. იმ ადგილიდან, სადაც 24 წელი იცხოვრა. იმ ადგილიდან, სადაც ჯერ გაიჩინა და შემდეგ დაკარგა მეგობრები, რამეთუ ჩვენ ყველა წარსულის ხალხი გვდღის, ცუდ ხასიათზე გვაყენებს და გვაფიქრებს საშინელებებზე, რაც არაფრით არ გვინდა. ეს კაცი კი სწორედ წარსულის კაცია და ასეთ ხალხს თავისი დამლა დაჰყვება სულ რომ არაფერი თქვან — მაინც.

აი, ის კუთხე, სადაც წლების მანძილზე სახრახნისის ტრიალით თითები დაისია, სადაც საათობით იჯდა და სქემებს დაყინებით ჩასჩერებოდა. ამ უფანჯრებო ოთახში ზაფხულში გაღებული კარიდან შემოდოდა ქალაქის ხმები, მტვრის ბული და „დვარნიამკა“ ძალდი სოლომონა, რომელიც ღარიბი ქართველი მეფესავით იყო მუდმივად მშვიერი, მაგრამ მაინც რაღაც ნაირად ამყავი. იმ ქოხმაში საკუთარი ხელით პატარა საპირფარეოს მსგავსიც კი მოიწყო, სადაც ერთი კაცი მხოლოდ წელი ოთხად მოხრილი თუ შეძვრებოდა და ისიც მას შემდეგ, რაც „ხაზიკისგან“ ფარულად, ძველი კარადის უკან იმ სრულიად საიდუმლოდ გამოჩოქნილ ალაგს ხის მასიურ ფიცარს ააფარებდა. ეს იყო დიდი და გაუთქმელი საიდუმლო, რასაც არავის ეუბნებოდა და იძახდა, რომ საპირფარეოდ გვერდით კორპუსში მდებარე საპირიკმახეროში დადიოდა.

იატაკზე გაშლილი საწოლიდან წამოდგა. რაკი ტანსაცმლის ეძინა, ზემდეტი მოძრაობები და შარი-შური არ დასჭირვებია. გამოსწია სკამი და დაჯდა. სიჩუმეში საშინლად გაიჭრიალა ბეტონის იატაკზე გაცურებულმა რკინის სკამმა. სკამის სა-

ზურგეს ორივე იდაყვით დაეყრდნო და უაზროდ მოათვალიერა ის ერთი ციციქნა ალაგი. ჭერიდან ჩამოშვებულ დენცქვიტაზე შეერთებული ერთ-ერთი ძველი მონიტორის მოციმციმე შუქზე სილუეტებად მოჩანდა ყველა ის ნივთი, რაც კი მის წინ როგორც იტყვიან ხელის გულზე ელაგა. დაფიქრდა, ღირდა თუ არა იმ გაურკვეველ ადგილზე კომპიუტერის ძველი ნაწილების მთლიანად წაღება. ამ ნაწილების მსურველები კარგა ხანია აღარსად ჩანდნენ. თუმცა ეს აზრი მალევე უკუაგლო. ტანსაცმლის, კარადის, მაგიდების, სკამების, ჭურჭლის და ამ ნაწილების გარდა მეტი არც არაფერი გააჩნდა და რატომ უნდა დაეტოვებინა?

მერე ადგა, კარი ღრჩოვდ შემოალო და ფეხსაცმლის ჩაცმას შეუდგა. მის კვერცხისგულისფერ ჩექმებს ისტორია მართლაც რომ უცნაური ჰქონდა. ამ სამი წლის წინ, როდესაც ელიავას ბაზრობაზე დაბოდილობდა, ვიღაც შტერმა მასთან მოიტანა და კარის წინ დატოვა ეს სქელძირიანი ჩექმები. როგორც ჩანს, მისი მიქობილი ალაგი მენალის სახელოსნო ეგონა. გავიდა ერთი კვირა, ორი, ერთი თვე... და რაკი ყელთან ოდნავ გარღვეულ გვართანად გამძლე ჩექმებს პატრონი არ გამოუჩნდა, ქუთისელი „ხადავიკებისგან“ ითხოვა სადგისი, ჩექმაზე გახეული ადგილები საკუთარი ხელით შემოაკერა და აგერ კიდევ ხმარობდა ჩინებულად.

ჩაიცვა ჩექმები, გარეთ გავიდა, მის ცხვირწინ დაკუმებულ უზნის სკვერის ონკანზე მონანკარე წყალი მუჭაში მოაგროვა, სახეზე შეისხა და მერეა გაახსენდა, რომ მხოლოდ ერთი ლარი ჰქონდა, რითაც პურის მეტი არაფერი მოუვიდოდა.

მე გხედავ შენ, როგორ ეძებ შარვლის ჯიბეში ლარიანს. აი, მანდვე, სკვერში სკამზე ვზივარ და გიყურებ, მაგრამ შენ ვერ მხედავ და ვიცი, — რომც დამინახო — არ გცალია ჩემთვის ყურადღების მოსაქცევად. ლარიანს ეძებ იმიტომ, რომ შენს ქოხმაში ცხოვრების ამ ბოლო დღეს, აზარების დღესაც რომ გადარჩე. რომ ვერ იპოვო ლარიანი, მერე რა იქნება, მერე?..

თვალებს ვხუჭავ და ვხედავ, რომ ეს კაცი ელიავას ბაზრობაზე მომუშავე კეთილი მძღოლის — ზაზას ფურგონში ზის და ავტალაში მიტოვებულ საბავშვო ბაღში მიდის. მიდის და წარმოადგენაც კი არა აქვს, რა დახვდება. იქ ნეტა როგორ დაიძალება ისე, რომ „ქალაქზე მზრუნველმა“ თვალმა ვერ შეამჩნიოს. რომ შეამჩნიონ?..

ისევე დახუჭული მაქვს თვალები და ვხედავ, რომ იქიდანაც ადრე თუ გვიან აუცილებლად ელის გამოსახლება, რასაც შემდეგ უსახლკაროს ბედი და მასში ჯერ კიდევ შენარჩუნებული მზუფტავი ღირსების წაშლა მოჰყვება. ვიცი, რომ ასე იქნება. სხვაგვარად არ მთავრდება მსგავსი ამბები.

ჩემი ბავშვობის დროინდელი სომეხი მენაყინე აუცილებლად სხვანაირად დაასრულებდა ამ ამბავს. იმას ალბათ ღმერთის არსებობისაც სჯეროდა...

ჰოდა... ახლა, როდესაც ეს ნაიკითხეთ, ალბათ ერთად ვუთანაგრძობთ, გულში ვიკრავთ და ველაციცებით ადამიანს, რომელიც არ ვიცი, ახლა სადაა. არ ვიცი და ვცდილობთ, არც ვიფიქროთ მასზე. ამის გამო ჩვენი დადანაშენება არის აბსურდი და მორალისტური ბოღვა, რადგან ჩვენი საკუთარი დარდიც იმოდენა დაგვაქვს, რომ უბრალოდ ვერ ვზიდავთ ყველას ცრემლსა და ტკივილს, რაც ესოდენ უზვია გარშემო.

ასეთ ადამიანებს ჩემს მიერ ხსენებული „ქოჩები“ და „მარკეტოლოგები“ „ლუზერებს“ ეძახიან, რომელნიც უბრალოდ ვერ განვითარდნენ და ნოვაციებს ვერ აუწყეს ფეხი. „ეს ჰისტორი ლოგიკურია და ამიტომაც, სანამ ჩვენი ცხოვრების შემდეგ „ქეისებს“ დავეგეგმავთ, ვიფიქროთ თანმხვედრ სტრატეგიულ გამონვევებზე. ეს ამბავი ასევე გვიბძგებს, რომ გამოწვევებისადმი უნდა ვიყოთ მაქსიმალურად „ფლექსაბალი“.

„შემდეგი ვორქშოფი მომავლის სწორად დაგეგმარებაზე გეყენება“ — იტყვის მავანი „ქოჩი“ და ამის თქმისას ფერად-ჩარჩოვან სათვალეს შეისწორებს.

ჩემი იასონა

ჩემი იასონა იყო წელში მოხრილი, და-
 ლლილთვალეებიანი კაცი. იასონა 15 წელი
 სკოლაში შრომის მასწავლებელი იყო. იყო
 ადრე ასეთი საგანი — შრომა. მერე აფხ-
 აზეთის ომში წავიდა. ომის შემდეგ კი მეკუ-
 ბოე გახდა და დარწმუნებით შემოძლია
 გითხრათ, რომ სიცოცხლის ბოლო წლებ-
 ში, მასალას თუკი მიუტანდი, კაპიკს აღარ
 იღებდა ხელობაში. მიუტანდი მასალას,
 არაყს, ცოტა მისაყოლებელს, ჩამოუჯდე-
 ბოდი გვერდით, აუნევდი ორ ჭიქას, გად-
 მოაგდებდა ცრემლს პირველივე ჭიქაზე,
 გაისხენებდა სკოლას, თავის მოსწავლეებს,
 მერე ომს, ცეცხლმოკიდებულ სოხუმს,
 ტამიმთან დაღუპულ ბიჭებს...

მერე წამოხვიდოდი და ორ დღეში კუბო
 გამზადებული გხვდებოდა. ბოლო წლებში
 ფულს ნამდვილად არ იღებდა და მარტო
 მე კი არა, მთელი ქართლია ამის მომსწრე
 და მონწე. მაშინ უკვე ძალიან ცუდად იყო.
 ღვიძლის დაშლა, ლოთობა, ამბავი...

2002 წლის 31 დეკემბერს ქარელელი
 ზაზა ჩამოვიდა, სიდდერი გარდასცვლო-
 და და მასაც მივლოდა ამბავი — ნაომარი
 იასონა დაბერდა, გაუბერა და კუბოების
 კეთებაში ფულს აღარ ითხოვსო. ჰოდა, აბა,
 ვის არ უნდა მუქთად ასეთი საჩოთირო
 საქმის მოკვარახჭინება... ზაზას ნაძვის მა-
 სალა მოეტანა და ნამუსზე ხელი ისე აეღო,
 რომ არყის გამოყოფა „დავიწყებოდა.“

მოვიდა და იასონას მოუბოდიშა, არყის
 წამოღება დამავინწყდა, შენ ეს პატივი მეცი
 და კაი ჭაჭა ჩემზეაო. ეგრევე მივხვდი,
 ზაზამ ალბათ იფიქრა, ახლა არაყი რომ
 წავუღო, იასონა ჩასკდება, საქმეს არ გაა-
 კეთებს და სიდდერი უკუბოდიშებოდა.
 მაგრამ, ზაზამ რა იცოდა, რომ არყის გა-
 რეშე იასონას ხელები სულ გარდი-გარდ-
 მო კანკალებდა და სასმლის დაუხმარებლ-
 ად, სწორად შალაშინსაც კი ვერ გაუსვამ-
 და ფიცარს. მე, რა თქმა უნდა, უნივერსი-
 ტეტს ვაცდენდი. უკვე ჩათვლების პერიო-
 დი იყო და მშობლებს ჩემი აურაცხელი
 გაცდენებისა და უნივერსიტეტის ცალ ფე-
 ხზე დაკიდების ამბები რომ არ გაეგოთ,
 თავს ტრადიციულად იასონას სახლ-სახე-
 ლოსნოს ვაფარებდი. თუთის არაყი მქონ-
 და სახლიდან ჩუმად „მოტეხილი“ და დილ-
 იდანვე კოხტად ვწრუპავდი.

ზაზა რომ წავიდა, იასონამ თავისი ძვე-
 ლი სამხედრო „ბუმლატიდან“ 20 ლარიანი
 ამოაცოცა და მითხრა: ამ ღამეს, ხო იცი,
 ახალი წელი მოდის, ჩაირბინე ზაზარში, ქა-
 თამი, მწილი და კაი რამეები ამოიტანე,
 მაინც ახალი წელიაო. მივხვდი, ახალი წლ-
 ის შეხვედრას ჩემთან ერთად რომ აპირებ-
 და, ეს კიდევ ძალიან საშარო საქმე იყო.
 სახლში ჩემები, ვინ იცის, რა ამბავს ასტეხ-
 დნენ, ახალ წელს იასონას სახელოსნოში
 რომ შეხვდებოდი, მაგრამ ესეც დავიკი-
 დე. სტუდენტების ამბავი ეგრეა. იმიტომ-
 აც არიან სტუდენტები ყველაზე მაგარი
 ხალხი მსოფლიოში.

წავედი ზაზარში. მაშინ კაი სოფლის ქა-
 თამს 4 ლარად იყიდდი. ერთი ტკბილი ქარ-
 თელი ბაბო შემხვდა ზედ ზაზარის შესას-
 ვლელთან ჯირკზე ჩამომჯდარი. სოფლის
 დაკლულ-გასუფთავებულ ქათმებს ყიდდა.
 სიცივეში ლოყები ისე ტკბილად ჰქონდა
 ანთლებული, აბა სხვისგან ქათმის ყიდვა
 იქნებოდა?! კაი ჩაყვითლებული დედალი
 მომცა 4 ლარად და ერთი ჩურჩხელაც მა-
 ჩუქა ბაბოების ამბავში. იასონას თევი უყ-
 ვარდა და ერთი კილო ცოცხალი, ნაცნობ-
 მა მეთევზემ იაფად მომიყდა. დახლზე ბო-
 სტნეული ენყო სხვების თვალის ასახვევად.
 დახლის ქვემოთ კიდევ წინა ღამით დენში
 გატარებული მურნები ელაგა. ბრაკონიერს
 სახეზეც იცნობს ჭყვიანი პოლიციელი, მა-
 გრამ ესენი არ ინდომებენ, როგორც ჩანს...

მერე ლავაშები, მწვანელი ულობა და
 ხილი ვიყიდე. უფრო ზუსტად, კაი ჩამაქრუ-
 ლი მსხლები, სულ 5-6 ცალი. ან მეტი რად
 გვიწოდოდა? ბოლოს, მარტო ხურდებოდა
 რომ დამრჩა, იასონასავით აფხაზეთის ომ-
 ში ნაომარმა ცალფეხა მეგრულმა კაცმა, 2
 ლარად, ერთი ლიტრა ხილის არაყი მომიყ-
 და და მეტი რაღა გვიწოდოდა? ეს ყველაფ-
 ერი ქაღალდის ძველ „კულოში“ ჩავანყე
 და წამოვედი უკან, ჩემს იასონა პაპასთან.

იასონას ზომების აღება და ფიცრების
 ზომებზე დახერხვა უკვე მოესწრო. თვალე-
 ბი ისე უციციმებდა, აშკარა იყო, ჩემი წას-
 ვლის მერე თუთის არაყი რამდენჯერმე
 კიდევ ჩაეკრა. მარტო ერთი ჭიქა დავლიე



უშენოთაო — მითხრა, მაგრამ ერთიც დაე-
 ლია და მეტიც. შეარგოს! ამოვალაგე მთე-
 ლი ჩემი ნავაჭრი ხორაგი. მწილის ყიდვა
 დამვიწყებოდა, რაზეც ცოტა ხანი იბ-
 უზღუნა იასონამ. „სირისტიანი ბაღი ხარ,
 სირისტიანიო“ — მითხრა. მაგრამ, მერე
 ცოცხალი რომ ამოვიღე, მწილი ვიღას
 ახსოვდა... ყველა თევი სათითაოდ აიღო
 ხელში, შეატრიალ-შემოატრიალა და ბო-
 ლოს მითხრა — ყოჩაღ, აემ თევის ყიდვა
 კი კაი მოგიფიქრებიაო...

შეყვარეთ მთელი ეს ჩემი ნავაჭრი რკი-
 ნის კარადაში და მივადექით საქმეს. „ჯერ
 საქმე, შვილი, ჯერ საქმეო“ — ესე იცოდა
 ხოლმე თქმა. არა ვარ ხელობის კაცი და
 არც არასოდეს ვყოფილვარ. სანამ მე ერთ
 ფიცარს ვამალაშინებდი, იასონას კუბოს
 თავსახური უკვე შეკრული ჰქონდა.

ყველაზე მთავარი მაინც სახელურების
 გამოთლა და მორგება-მიმარგებაა. ქარ-
 თელი კუბოთქმის ისტორიას ხომ არაერთი
 ავადმოსაგონარი შემთხვევა ახსოვს, რო-
 დესაც ჭირისფლენისათვის კუბოს სახე-
 ლურებს უმტყუნიათ და მიცვალებულებს
 სულ პანტა-პუნტით უცვენიათ კუბოდან.
 იასონა სულ იმის ფიცში იყო, ჩემს გაკეთებ-
 ულ კუბოს „იაღლიში“ არასოდეს მოსვ-
 ლიაო და მეც მჯეროდა. ან რატომ მომა-
 ტყუებდა? ისედაც არ იყო ტყუილების მო-
 ყვარული კაცი. ომზეც იშვიათად ჰყვებო-
 და. ტყუილებს მით უმეტეს...

სახელურების მორგების გარდა ყველა-
 ზე ძნელი კუბოს ძირის შეკვრაა. ქართვე-
 ლები, ხომ იცით, როგორი ხალხი ვართ?!
 აქაოდა, მიცვალებულის ნივთების სახლში
 გაჩერება არ იქნებოდა და ტყუილად და ტყუილად
 კუბოში ცხონებულთა ტანსაცმელსა თუ
 სხვა რამ ნივთებს. ჩემს ბავშვობაში გორში
 ერთ ბაბოს კუბოში პატარა ტელევიზორიც
 კი ჩაატანეს — სულ ამას უყურებდა და იმ
 ქვეყნადაც გამოადგებოდა.



ბის ამბავიაო.“ დაიჭირა ხელში არყით საე-
 სე უძველესი, კითხვებმოცვეთილი არყის
 ჭიქა და წამოდგა:

— მოდი, შენ იცოცხლე, შვილო. განა
 ვერ მივხვდი, რომ ხათრი არ გამიტხე და
 იმისთვის დამიჯექ აქა. ბევრ ახალ წელს
 დაესწარი და მე როცა აღარ ვიქნები, სხ-
 ვებთანაც ეგეთი გულიანი იყავი. მაგამი
 ფულს არავინ მოგცემს მაგრამ, ისევე შე-
 ნთვისაა კარგი გულიანობა. გულიანი რო-
 ცა ხარ, საჭმელსაც სხვა გემო აქვს და
 ხალხიც პატივსაც გცემს. დალიე მიდი ახლა.

— მარტო მე რაათა? შენც გაგიმარჯოს.
 შენზე გულიანი არის ამ ქვეყანაზე ვინმე?
 აგე ახლა, თითქმის უცნობ კაცს უფასოდ
 უკეთებ კუბოს და მაგნაირ რამეს იზამს
 კიდევ ვინმე?

— აფერისტობაც გისწავლია! დალიე,
 ჰა, მიდი...

— რა, ეგრე არაა?

— მე სიზმარი ვნახე შვილო და იმიტომ-
 აც აღარ ვიღებ ფულს, თორემ შენ რომ
 „ფიროსმანს“ მეძახი, განა მართლა ეგეთი
 ვარ...

— რა სიზმარი, კაცო?

— გითხრა? არ მოსდებ ქვეყანასა?

— არა, ჩათლახი ვიყო, უბანში თუ რამე
 ვთქვა.

— მე ღმერთი მესიზმრა, შვილო. არ ვი-
 ტყუები, ჩემი საწყალი ცოლის სულს გეფე-
 ცები, არ ვიტყუები! ოლონდ, ბაღის სახე
 ჰქონდა ღმერთსა. კაი ხუჭუჭა ღამაში ბა-
 ლი იყო, მაგრამ მე მივხვდი, რომ ღმერ-
 თი იყო.

— მერე?

— მერე მითხრა, რომა, „იასონ, ამ სკო-
 ლის მასწავლებელ კაცს ომში ამდენი სისხ-
 ლი გინახავს, მერე კიდევ ამდენი კუბო გა-
 ქვს გაკეთებული, ახლა ის დროა, შენთ-
 ვისაც წინასწარ რომ გააკეთო კუბოო. და-
 მმარხავი შენ არავინ გეყოფება და ხელო-
 სან კაცს არ გეკადრება, ნაჭრებში გახვეუ-
 ლი რო დაიფლოო“. მერე, გავზარაზდი, შვი-
 ლო. ბოლოს და ბოლოს, სინდისი ხომ არი
 არა? ნამუსი ხომ არი? უკუბოდიშ ვინ დამ-
 ტოვებს, ქრისტიანები არა ვართ? ჰოდა
 მივხვდი, ძირითადი რა არა ვართ? ჰოდა
 გადვწყვიტე, ფული აღარ მოვითხოვო ჩე-
 მს ხელობაში. ვინც რას მომცემს, იმის კა-
 ცობაზე იყო. ერთი როგორ არ გამოჩნდე-
 ბა, ჩემი პატივისცემა რომ დააფასოს და
 კუბო შემიკრას? თუ არ გამოჩნდება და ლი-
 რსი ვყოფილვარ!

უკვე დიდი ბრახა-ბრუხი იდგა გარეთ.
 ახალი წელი მოსულიყო, მაგრამ ეს ამბავი
 იასონას და მით უმეტეს მე, სულ ფეხებზე
 გვეკიდა. მივხვდი, რომ იასონა უკვე ნანობ-
 და, თავისი სიზმრის მოყოფა. ომგამოვ-
 ლილმა ხალხმა საერთოდ ასე იცინა ხოლ-
 მე. ადვილად გიშლიან გულს და გულიც
 ადვილად მოსდით თავიანთ გულგახსნი-
 ლობაზე.

მერე დავლიეთ...

იმ ჩემი ნაყიდი ერთი ლიტრა არყის გა-
 რდა, იასონას კიდევ ერთი ლიტრი ჭაჭა
 ჰქონია გადაამალული და გამთენიისას რო-
 გორ მივედი სახლში — არ მახსოვს. მხ-
 ოლოდ დედაჩემის ჩხუბი მახსოვს და მამა-
 ჩემის მუქარა.

იასონა იმავე წელს, ზაფხულში დავმა-
 რხეთ. ბევრი რომ ოცნებობს, ისე მომკვდა-
 რიყო — დაეძინა და ვეღარ გაეღვიძა. მე
 მაგ დროს დასავლეთში ვიყავი მეგო-
 ბართან ნასული და ახალნაყიდ მობილურ
 ტელეფონს „ვამარიაჟები“ იქაურ გოგო-
 ებთან. სახლიდან რომ დამირეკეს, სხვათა
 შორის მითხრეს — შენი იასონა ამ დღით
 მკვდარი ხახვს, ბოლო დროს რასაც ვერ-
 აყს სვამდა, კიდევ კარგად გაქაჩაო.

რომ ჩამოვედი და იასონას სახელოს-
 ნოსთან მივედი, ჩემს სიხარულს საზღვარი
 არ ჰქონდა, კარების წინ მუხის კაი ძვირ-
 ფასი კუბოს თავსახური რომ დავინახე აყ-
 უდებული. კი ამბობენ, ქართველებმა კარ-
 გი ხალხის დაფასება არ ვიცითო, მაგრამ
 არც მთლად ვერეა საქმე. ქართველები ძა-
 ლიანაც კარგი ხალხი ვართ! აეგრე!

მეზობლებს ფული აეგროვებინათ, ელ-
 დარა და იმისი ბიძაშვილი საშა ნასული-
 ყვინე მცხეთაში და იქაური ხელოსნებისა-
 თვის ყველაზე ძვირფასი კუბო შეეკვეთათ
 — ალალია იასონაზეო. მცხეთელებსაც
 სცნობოდათ იასონა და თითქმის ნახევარ
 ფასში გაეკეთებინათ კუბო. ელდარას, იმის
 ბიძაშვილ საშას, ფულის დამდებებსაც და
 მცხეთელ ხელოსნებსაც ღმერთი გაახარ-
 ებთ! ის ღმერთი, იასონას ხუჭუჭა ბაღის
 სახით რომ გამოეცხადა...



ლია
სტურუა

ამხელა მოსახლეობა, უძრავი ქონება,
საქონელი, აუცილებელი ვიოლინოები მუცლებში?
ცენზურა ლაფვარდს ვერ აკონტროლებს!
ხელმონერა? იკითხება?
ფაქსიმილეს ხომ არ დაურბევენ?
მეც დამანგრევედა ამ ებრაელი
მხატვრების სიყვარული,
გოიას რომ ერთადერთი მარგალიტი
არ მოეშუქებინა...

ნერვები ამოვალაგე
ტანის ყველა კუნჭულიდან,
მამაჩემის საყრდენი ჯოხი ავიღე
და მატყლივით ვაგებოდა.
რა მინდა? დაუშვებოდა,
რომ პატრონი ვარ?
მაგრამ დიქტატურა არ გამოდის,
თავის ადგილებზე ჩავაბრუნებ
და ისევ ამტკიცებდებიან. ასე ყვავიან,
ამათაც თავისი გაზაფხული აქვთ,
რამდენიმე ტონით მაღალი ჩემსაზე —
თვალეებს რომ ხელი დააჭირო
და ქვეყანა აგიფეთქდეს.
ჩემი გაზაფხულის ვარდისფერი შუშა
შედარებით უტკივილოა, ლამის, ინფანტილური,
აბა, ლექსები საიდან? თუ არა
დაშაქრული ქვეცნობიერის ფრენიდან?
შაქარი რა სანავაია?
ჰაერის პირველ საფეხურამდე თუ გეყო,
მერე ვარდნა, მერე ტკივილი,
ნერვების მორიგი აქცია კი არა,
სრულიად ტკივილი! ჰიპერბოლა!
რაც შეეხება ქვეყანას,
ახალდანიერი ლექსივით ანთია
და უკონტროლოა...

მისუთიდანაც შიქილება

შენი სიღრმიდან თუ მიყურებ,
რას იტყვი, ძალიან შევიცვალე?
სწორი ხაზები კი დამეგრიხა,
მაგ. ხერხემლის: ზაფხულში ქინძისთავებით,
ზამთარში სტეპლერით ვიმაგრებ მხრებზე,
მოცულობას მაცივარში ვინახავ,
რომ არ დამიმრგვალდეს, ველარ მიცნობ,
მოდის, მინდორს მოყვები, სიგრძეში მწვანე,
სიგანეში ჩვეულებრივი მგელი!
მარტოხელა ყმული გიჭირს,
მიკროფონით დაგეხმარები, მთვარეც იქნება
(სანტიმენტები თავის ადგილას),
მეგონა, ძეგლივით მოხვიდოდი,
მაგრამ ბრინჯაოს ფულს ვინ გაიმეტებს?
გინდა ყველაზე დიდი დათმობა?
ოღონდ მოდი და 90-იანი წლები იყოს:
სიცივე, სინათლის გრაფიკი,
ქიმია ჩვენს შორის?
მუხტები აღარ იშოვება, ყოფამ შეჭამა,
მათ ნაშთზე ჩაის თუ ავადუღებ,
ჭიქების კედლებზე გავითბობთ ხელებს
და მეთორმეტე სართულის აივნიდან გავალთ.
მეხუთედანაც შეიძლება, მაგრამ
უშენოდ არ მომინდა,
ისედაც, რაც უფრო ზევიდან,
მით უკეთესი...

„მამრამ“-ის შიში

აუცილებელი წუნუნი, რომ
ყოველდღიურობა მომბეზრდა:
სახლი, ჩაი, სამსახური, სახლი,
შუაში — ტაფაზე მოცურავე კარაქით,
უქმე დღეები. როდემდე?
და იქვე: — ღმერთო, ცოტახნით კიდეც
გამიგრძელე ჩაისსმა,
თხელი ფინჯნიდან ქარვების ყლაპვა!
ჭრელი ბალიშების და მუთაქების პრიალი,
ანუ სახლი! ღია ფანჯარაში ეკლესია: —
ერთი აგური, ერთი მტრედი —
ასე აშენებული!
ორი აგური ერთად არ დაუნყვიათ,
არც ორი სინათლე.
რამდენი ჰაერი!
აქეთ-იქიდან ჩემი იდაყვები,
როცა პატარა დამინება,
მასთან ერთად ვვახშმობ
სალამოს 7 საათზე,
მერე უმწეო ვარ.
სიზმარში კაცი მოდის, საშაქრით პირში —
ტკბილი დამსმენები! თუ არა ტკბილი,
ისე როგორ გაგყიდინან?
და მაინც, ღმერთო, გამიგრძელე ჩაისსმა!
თხელი ფინჯნიდან ქარვების ყლაპვა,
ბევრი ჰაერი,
აქეთ-იქით ჩემი იდაყვები!
მაგრამ ფანჯარა დაკეტულია...

ბასსოვს?

წერ. ასოები მელნით ყვავიან,
თითქოს, ქალაქის თვითმფრინავში ზიხარ
და ფეხდაფეხ მიყვები იებს —
ცალხაზიანი რვეული, ჩიტის კონსტრუქცია,
მინაზე ჭიანჭველა, რომელსაც
ჰიპერბოლა აქვს მოკიდებული ზურგზე
და საკუთარი კუზით უვლის —
აქედან: პოეტები და მოპოეტო გიჟები,
ესენიც იებს დასდევენ,
ზეპირსიტყვიერებას უხდებიან,
მელანში რომ ჩაენონ, ისეთს დაგინერენ,
კუზი აგიყვავდება. გაქვს უფლება,
როცა საკუთარი უფსკრულით დადიხარ,
სანამ გაარკვევენ, რელისტი ხარ,
თუ დეკადენტების გადმონამთი,
ამასობაში, ტკივილს რას უშვრები?
წრეხაზის უნაკლობაში დაამრგვალე
და კლასიკაში გაიყვან?
კუთხოვანი ტკივილი
საშიშია, გადამდები
ე.ი. რა? უფსკრული?
და წერა-კითხვის სახელმძღვანელო
რომ გაიხსენო?
შენც იებით არ იწყებოდი...

მცანარული ნარმოზობის გამო

წარმოსახვას რა შეუძლია?
სილუეტი სანოლში.
რელიზმისკენ თუ გადავხარე,
მხრებზე ბალახით...
გამიზომეთ მანძილი ბალახიდან მარტოობამდე!
მომიყვანეთ მაგალითები
ჭკუადამჯდარი ლიტერატურიდან!
არ გამოვა ჩემი სიმშვიდე!

ჯერ კიდეც, დედაჩემის კრუხობას
ცეცხლი ეკიდა, ან როგორ ამარჩია
ამდენი რძეში გავლებული ბავშვიდან
ასეთი მუგუზალი?
როგორ დაინახა ჩემზე
ათი წლით უფროსი ბიჭი,
ბრინჯაოს მომავლით?
მის ნულოვან წარმოსახვაში როგორ გამოვჩნდით?
სილუეტთან რომ მძინავს,
ოსტატურად შესრულებულთან ჩემს სანოლში,
(მაინც მხატვარია), ეს უკვე მერე,
კიდეც მერე, ღმერთს ვთხოვ,
ქალაქში ჩამაბრუნოს, სრულიად თეთრში,
შემოქმედებითი კრიზისის გათვალისწინებით,
თუ ვერ დავენერ,
ბალახს, მაინც, ამოვიყვან,
თუნდაც, მცენარეული ნარმოზობის გამო
(ნახეთ ჩემი ძველი ტექსტები),
დედა, ამდენი ვილაპარაკე შენზე,
საერთო სახიდან კი გაგექეცი...

სუტინი, შაბალი და სხვ.

კედელი, ბიჭი, ტანსაცმელი —
ქათქათა, ისტერიულად თეთრი,
ხელში ნითელი ცხვირსახოცი,
კიდეც ერთი ისტერიკა,
კომპოზიციის გასამყარებლად,
თუ ასაფეთქებლად?
განა რამდენს შეუძლია
თავის ხეთქება სიკაშკაშეზე?
ერთი ორ სუტინს და სხვ.
იმას, მეორეს „და სხვა“-ში ვერ გაიყვან,
ცის მისამართი აქვს —
შვიდი ნილადი ცხრა, თუ რაღაც მსგავსი,
საბჭოთა კიბე მოკლე იყო,
ცას ვერ წვდებოდა
აბა, როგორ?





ნინო დარბაისელი

რას გვეჩიხს, ნეტა, სიყვარული ახალთახალი

რას გვეჩიხს, ნეტა, სიყვარული ახალთახალი, თითქოსდა გრიგალს კი არ მოჰყვა ამ გაზაფხულზე, ადრე, ოდესღაც ფიცხელ ომში განვეულისთვის ულალატობის ფიცი დაგვედოს და დაბრუნებულს დადებული თავის ადგილზე ვერ დავახვედრეთ.

და რით ვიმართლოთ ახლა თავი? — რომ უიმედო ლოდინით დალილს მტვერი გვინდოდა გადაგვეწმინდა და სიფრიფანა ფიცი ხელში შემოგვტყდომია? ან ჩვენ რას ვერჩით ამ ახალთახალს! აქამდე როგორ მოაღწევდა, გზად ტოტი რომ არ ჩამოეტეხა, ის მინდორი არ გადმოევილო, იმ მდინარეში არ შეეცურა, იმ ლაფში რომ არ ჩაფლულიყო, ან ქერივის ქობში კუნაპეტ ღამით თავშეფარებულს არ გაეთელა გახამებული თეთრეული ზორბა სხეულით.

რატომ გვანვალვებს შეგუება, რომ ერთმანეთში ახალი კვალი კი არ გაგვყავს, ნასვენებ სახნავს მიუყვებით, ბელტად ვაბრუნებთ წარსულსა თუ წარმოსახულ ნალერსალებს? ნეტა დროს ისე მიჰყვებოდეს ადრინდელივით, როგორც შხაპს მისდევს ყველაფერი ნაგუშინდლარი, ან არსებობდეს რაღაც ნათლობა — სასიყვარულო — ხელჩაჭიდებით, ცხვირზე თითებმოჭერილებმა ერთად ჩავეყვინოთ, დინებამ თავზე გადაგვიაროს და ვიშვათ ახალ სპეტაკებად ერთმანეთისთვის. ანდა ჰაერმა ჩვენთვის თავი გაიგრიგალოს, ორივე ერთად აგვიტაცოს, მთის ნვერზე დაგვსვას, ფეხქვეშ ქვეყანა ჭრელა-ჭრულად გადაგვიშალოს, გამოგვითიშოს ვარსკვლავები, მთვარესაც ცოტა ჩაუნოს, თავქვეშ ღრუბელი ამოგვიდოს და დაგვახუროს მრავალკეცი ნისლის საბანი.

ან ცეცხლი ენთოს, ერთად შევიდეთ, იქ დასაწვავი დაიფერფლოს, ორთავეს გარსი შემოგვეცალოს, გამოვალნიოთ, შეტყუებულნი ველარაფერმა გაგვაცალკეოს.

ან მინა იყოს, დაგვეყაროს და ჩავიმარხოთ ერთმანეთში ჩახლართულები და ერთიანად ამოსუნთქვის ძალი მოგვეცეს და მინის პირზე ისევ ერთად ამოვალნიოთ, ფეხი დავკრათ და ავსრიალდეთ ლაჟვარდებისკენ. რა პატარაა და უმწეო ყველაფერი, რაც დაბლა რჩება!

ამბობს: — ვიკმაროთ, რაც აქამდე ვიყოყმანეთო. ამბობს, რომ ეყო, რაც უჩემოდ დღემდე უვლია. რა გახდა ერთი დღის გაძლება უერთმანეთოდ! ვიდრე გვეჩიხს და და ვიდრე ვერჩით — სიყვარულია!

გაბრის ყვავილობა

არც მე ვარ მონაზონი და არც ის არა ჰგავს მწირს. გავეჭრილვართ მონაზომიდან და ერთმანეთი გვჭირს.

ორივემ ვიცით, რა გვინდა. არ ვეჭიდებით ხავსს. მას უხარია, რომ ვყავარ, მე მიხარია, მყავს!

აღარც მასხოვხარ, არც გნატრობ, აღარც წარსული მწამს... ეგ ჩრდილი რაღად ეცემა ყველა ბედნიერ წამს?

თქვენ ორში ნეტა მესამედ ყოფნა რგებია ვის? ან ცრემლის ყლუპი რად მახრჩობს, მე, გადამცურავს ზღვის.

ღმერთო, ვის ვისი სული და ვისი სხეული სურს, ვინ — ვისთვის ცოცხლობს, ვინ იცის, ვინ — ვისთვის დაღვეს სულს.

რამდენ ხანს გასძლებს ზეზეურად ეს სიყვარული ეს სიყვარული

რამდენ ხანს გასძლებს ზეზეურად ეს სიყვარული, რამდენ ხანს გასძლებს, როდემდე უნდა შეიფარონ ღამის ჩრდილებმა. აშარი ქარიც — თვალმოჭუტვით ექირქილება, „მიუნეჭით! განვალდებითო“, წასასვლელი კი არსადა აქვს.

ამ დროს რამდენი გულცარიელი ბინა არის ღამის ქალაქში და გასაღები სადმე, კუთხეში უქმად აგდია. ან ეს ძალა მიზიდულობის! ეს მაგნიტი თუ ანდამატი სისხლშია ნეტა შერეული და სხეულებში მიმოქცევა თუ კიდევ რაღაც ნაწილია ჩვენს არსებაში, ბრძენთაგან ჯერაც მიუგნები, ამოუცნობი — ნდომის, გონების, სულისა და გულის ნაჯერი. რა მოსდის მერე ამ მაგნიტსა თუ ანდამატს, შრება? ილევა? აივსება?

რამდენი წყვილი, ქვეშაგებში მოწრიალე, ზურგშეცქევით ჩათვლემას ცდილობს და აღარც ახსოვს, ადრე რომ ასე დაეძებდა სადმე წასასვლელს! ან იქნებ სიზმრად ისევ ზეზეურ სიყვარულს ხედავს: ხელჩაჭიდებას, ილღისქვეშ თავშეფარებას, ელდა-კოცნებს და კოცნა-კვდომებს, ხოლო ესენი, ღამის ქუჩას შეფარებულნი, ერთმანეთს რომ ასე ეკვირან, ფრთებს ატოლებენ, რადგანაც განგება, ჩავლილ სიყვარულს თუ ცოცხლები გადავურჩებით, ყოველ ჯერზე ახალ და სხვაგვარ ცალ ფრთას გვარგუნებს, უერთმანეთოდ ვერასოდეს მიწის პირს რომ ვერ გავეცალოთ.

ცალი ფრთა-მეთქი, შაშვის, ბელურის, გნოლის, გედის... აქა-იქ ქორის ან ფასკუნჯისაც გამოერევა და შენი ფრთის ცალს თუ ვერ ენევი, აინევი და დაცემამდე დაილენები. (დედამინაზე სიცოცხლე რომ არ გადაშენდეს, ღვთიურ მარაგში ძირითადად შინაური ფრინველების სანდო ფრთებია). წყვილი იყოს და ფრთა იყოს და ნულარ დავეძებთ!

როგორ ეკვირან! გაეცალეთ, გაეცალეთ შეყვარებულებს, ვიდრე ასეთი სიყვარულია! გააღეთ ყველა დამანული კარი, ფანჯარა და ყველა მდელი იყოს ლბილი, იყოს ნელთბილი, თორემ ეს ღამეც ჩაივლის და ეს სიყვარულიც ჩაივლის და სიტყვაც ჩაივლის და ღმერთმა იცის, რა გათენდება.

პიციკატო

შემახე შენი ხელი, შემარხიე.

არ მეყო შენს მუხლებზე დასვენება?! ნებას შეერია უკვე ვნება.

ჰყვავის იატაკი. რა — ველიო! რაველს აქ რა უნდა! რაველიო?!

არ მინდა შენი ხემის მელოდია, არ მითხრა, აქა ვარ, ხომ მელოდიო!

თუ მართლა გინდივარ, მივხვდე რითი! შემახე შენი ხელი, შენი თითი!

ეს რა უცნაური გაშმაგებით ცეკვავენ, როკავენ ეშმაკები!

ამათგან გამყრიდა აბა, მე — რა! ჰა, ლაჯებშია ვარ?! ჰაბანერა!

სულ — ყლუპი. ასე როგორ მომეკიდა! ცოტაა, არ მეყო, მომე კიდე!

რიტმობენ კასტენიეტები, ვნებით სიკვდილისთვის მიმეტებენ.

შემახე შენი ხელი! შემახე შენი ხელი, შემახე შენი ხელი, შემარხიე!

ნასასხეპისა

არ გინდა, ისევ მოგეფერო უწინდებურად? მოგელამუნო მოლოდინით განაყურები, შინ დაბრუნებულს დაგილოკო მომლაშო კანი, ეგ თბილი ყელი, ცხვირის წვერი, ცხელი ტუჩები! და მოგიმატო არათითზე ნაკბენს ნაკბენი! უმადური ვარ! ვერ ვიფერე, ვერ დავაფასე შენი ამაგი, ზანტი ზმორება ფანჯრის რაფაზე, მაგრამ ნაზამთრეც ვით დამეცხრო სისხლი მჩქეფარე? მიყვარხარ-მეთქი, გაპარვისას ხომ დაგიბარე და შენს კალთაში მოკრუტუნეს ხომ მიმღერია: „მარტის თვეში არ დარჩება ძუ უხვადო, მაინც წავა, თუნდა ჰქონდეს რძე უხვადო. მომენყინა მონობა, მიაო და მიაო, მეყო, რაც კი მარტობის ცრემლი მინამიაო!“ საკვამურიდან კვამლის ზურგი გამოიბრუცა. მე სიბნელეში უკეთ ვხედავ ბეცი თვალებით. ვიცი, შინა ხარ. თუ არ მიღებ, აღარც დაგიცდი, წავალ და ვინმე აღერსიანს შევეფარები! გავიდა მარტი. ნასესხების უბერავს ქარი, უბერავს ქარი, ძვლის ძირამდე ნემსივით ატანს. კარს მოვეკარი, ვაფხაჭუნებ, გესმის? გამიღე, გამიღე კარი, მე ვარ, შენი ხატულა კატა!

გავთხოვდი, საფო!

გავთხოვდი, საფო! კარგი სასიძო სურდათ მშობლებს და ძმებს. ქალმა ურჩობა როგორ გაბედოს, სხვა რა ძალაა, ძლებს.

ზევით აზიდეს ჭერი დურგლებმა, ხალხი ღრეობს და სვამს. გამოგვაცილეს საწოლისაკენ, ჩვენთვის მოწეულ ჟამს.

ტლანქად შემომხსნა წელზე სარტყელი. როგორ ვეგუო ქმარს! თვალი ვარიდე, შესაძლებლად ერთი შეხედვაც კმარს.

გაუზავებელ ღვინოს ითხოვდა, ცერით იფხანდა წვერს, ვარდის ფურცლებით სავსე საწოლში ან გალემილი წევს.

იმისი ლურჯი ნათითურები შიგნიდან მიწვავს ყელს და შენი მწარე ეპითალამაც ისევ ყურებში ჟღერს.

მძულს საკუთარი ნორჩი სხეულიც — ნელსურნელებით ყარს. საწოლის მეკარე ბატისფეხება აღარ შორდება კარს...

ნეტავი იმას, ვინც არ შედრკება, ტრფობას სიცოცხლით ზღავს, კლდის წვერზე დგება, დახუჭავს თვალებს და ენარცხება ზღვას!



ლერი ზივზივადე

მამა აბრაამის აღსარება

— აბა, გისმენ, — უთხრა მამა აბრაამ-მა პატარა ნიკუმას საკურთხეველის წინ.

ბიჭუნამ ჩაახველა ერთხელ, ორჯერ... მერე მესამეჯერაც და მამაო მიხვდა, რომ ბავშვს აღსარების ჩაბარების ეშინოდა. დედა მოშორებით იდგა დაჭიმული, მასზე გადაიჩანა მამაომ მზერა და „რას ერჩის ამ საცოდავ დღეს გაჩენილს!“ — აი, გაიფიქრა. ბავშვს კიდევ ეს ჰკითხა:

— აბა, დედა ხომ არ გაგიბრაზებია, ნიკოლოზ? — თავი ძალიან ახლოს მიიტანა მის ყურთან.

— ცოტათი, — დაიკნავლა ნიკუმამ.

— ცოტათი არა უშავს, ღმერთმა შეგინდოს. აბა, გაიქეცი, — შავ ქსოვილს პირჯვარი გადაწერა აბრაამმა და ზურგზე მიჰკრა ხელი პატარა ნიკუმას. კიდევ ბევრი აღსარება ჰქონდა მისაღები ზიარებამდე. „რა უბედურებაა ამხელა რიგი საკურთხეველთან! თქვენ შესცოდეთ ჭირი! ამით მართლა რომ ჭამდეს სინანული, ნამდვილი სინანული — ახლა თითო-ორო-ლა კაცი იდგებოდა ჩემ წინ თავჩახრილი, მაგრამ არაა, არა... ამით სულ სხვა რაღაცა უნდაა!“ — უცებ ენერგიაზე მოვიდა მამა აბრაამი. ოღონდ, ცოტა არ იყოს, უკეთურ ენერგიაზე — „მოდით, მოდით, ჰე!“ — შეიგულიანა თავი.

და დაიწყო აღსარებებიც. აი, ასე უღერდა ზოგიერთი მათგანი:

— მამაო, ერთი კვირაა, არ მილოცია.

— მამაო, იმ დღეს ხურდა მქონდა და მათხოვარს არ დავეხმარე.

— მამაო, კარტი ვითამაშე შაბათ დღეს.

— ცოლს შევაგინე, მამაო.

— მამაო, ქალს გავაყოლე თვალი.

„უფალო“ — ფიქრობდა აბრაამი — „მაპატიე, ამეებით რომ გაცდენ, მარა შეუწყვეტე, რა იქნება, ამ ცოდვილებს!“

გაიკრიფა ხალხი. მორჩა აღსარება. პატარა ნიკუმამაც გადაიჯვარედინა ხელე-ბი და ჩადგა რიგში მარტო. ვიღაც ქალმა თავი გააქნია უკნიდან და ხელეები შეუსწორა — „მარცხენა ზემოდან, მარჯვენა ქვემოდან, შვილო“ — უთხრა და ამოიხვნეშა ღრმად.

მამა აბრაამი კიდევ იდგა, უყურებდა ერთი-მეორის მიყოლებით მიმავალ ხალხს და, აი, ამ დროს, ამ ავად თუ კარგად სახე-ნებელ დროს, რაღაცას მიხვდა უცბად. მიხვდა და გაუსჯდა გული — „ყველანი მძულს თავიანთი ვითომ-ცოდვებიანად!“ მერე კი კარგად დაფიქრა იმაზე, რასაც მიხვდა და თავისი თავიცი მიაყოლა მრევლს. თვითონაც ვერ გაიგო, როგორ აზიარა ხალხი ამის მერე, მაგრამ, როგორღაც, გაუშვა ბოლო კაციც, შეწყდა გალობაც და მოვიდა დრო, გაიჭიმოს ამბიონზე და დაიწყ-

ოს ქადაგება. შეაშტერდა ხალხი. ესეც შეაშტერდა ხალხს ბოროტად. შეხედა, როგორ გადაიჯვარედინეს ხელეები კაცებმა და როგორ მიიღეს ვითომ სათნო სახეები ქალებმა. ბავშვები ჩაიცუცქნენ, მათ შორის პატარა ნიკუმაც, მაგრამ, სხვებისგან განსხვავებით, პატარა ნიკუმა ააყენეს. პატარა ნიკუმამ შეხედა სხვებს და გული ეტკინა, მერე შეხედა მღვდელს ამბიონზე და მიხვდა, რომ ადამიანი მასზე უარეს დღეშიც შეიძლება იყოს. მღვდელს გაბრაზება, საცოდაობა, სინანული და სიძულვილი ერთიანად ეხატა სახეზე. კიდევ სხვა რაღაცებიც ეხატა, ბევრად უფრო უარესები, მაგრამ ამ გრძნობებზე ჯერ არაფერი იცოდა პატარა ნიკუმამ; საკუთარი თავის სიძულვილზე, მაგალითად, არაფერი იყო ნათქვამი დედამისის მოყოლილ ზღაპრებში...

და სანამ ამაზე ფიქრობს პატარა ნიკუმამ, მამა აბრაამი დგას და ძლივს იკავებს მხრებს. ჯერ კიდევ დიაკვნობისას ეგონა, რომ მღვდლად გახდომა სამოთხეში გააქანებდა პირდაპირ. უყურებდა მამინდელ მოძღვარს და მის ადგილას ღმერთი დაენახა ლამის. ახლა კიდევ თვითონ დგას გამონკეპილი მოძღვრის სამოსში და თავის თავში ვერ პოულობს ღმერთის ნატამალსაც კი. და უცებ, ბრახ! ცრემლი დაეცა მისი თვალიდან ჯვარს. რისი იყო ეს ცრემლი? რომელი გრძნობის? ყველა გრძნობამ იცის ცრემლი, მაგრამ განა ყველა მათგანი ღმერთისგან მონიჭებულია? რომელ სწავლებას უნდა მიმართოს? რომელ წმინდანს, რომელ თავს სახარებიდან? სად წერია თავისი მრევლის მოძულე ქრისტიან მღვდე-

ლზე ან ცოდვილზე, რომელიც სხვას უტევებს ცოდვებს?

და უცებ თავში დაეცა ფიქრი: „ნიკუმამ, სად არის ნიკუმა?!“ ახედ-დახედა ეკლესიაში შეკრებილ ხალხს: ჩაკუნცხულ ბავშვებს, ზედმეტად სერიოზულსაზიან კაცებს და ზედმეტად მორჩილსაზიან ქალებს და ძლივს მიაგნო პატარა ნიკუმას. ის უკვე აღარ ნერვიულობდა. ახლა დედამისის მუცელს ეყრდნობოდა თავით, იყურებოდა დაბლა და რაღაცას ფიქრობდა თავისთვის. ისე მაგრად დააკვირდა მამა-აბრაამი, ისიც კი შეამჩნია, რომ პატარა ნიკუმამ ჩაფიქრებულიობისას ტუჩებს აცმაცუნებდა უნებლიედ. და უცებ ყველა სიძულვილი გაქრა. ამ ერთი პატარა ნიკუმას გამო გაქრა ყველა სიძულვილი!

თავი ასწია მამა აბრაამმა, თვლებში ჩააშტერდა მრევლს და უცებ მოვარდნილი უზარმაზარი სიყვარულით აღვსილმა დაიწყო ლაპარაკი. მრევლი ფიქრობდა, ოჯახზე იტყვის რამესო, ან ომზეო ან ღირსებაზეო და შენუხებულებმა გადახედეს ერთმანეთს, როცა გაიგონეს ამბიონიდან წამოსული სიტყვები.

— ჩემო ძვირფასებო, — დაიწყო მამა აბრაამმა, — მინდა, აღსარებაზე მოგიყვებოთ ორიოდ სიტყვით; აღსარებაზე და სინანულზე, — ხალხი შემოფოთდა, „რამე ცუდად ხომ არ ვთქვითო, თავი ხომ არ შევიცრცხვინეთ ღმერთთან“ — ო, მამაომ კი განაგრძო, — როცა პირველად ჩავაბარე აღსარება, ჩემმა მოძღვარმა კინისკვრით გამომავლო უკან — „შენ სინანულის რა გაგეგება“ — ო. მართალიც იყო, არაფერიც

არ გამეგებოდა საერთოდ, მაგრამ ახლა გამეგება ერთი-ორი რაღაც და, ჩემო ძვირფასებო, მე ახლა გეტყვით, როგორ უნდა ჩააბაროთ აღსარება, უფრო სწორედ, კი არ გეტყვით, გაჩვენებთ...

მამა აბრაამმა ჩაახველა ერთხელ, ორჯერ, მერე მესამეჯერაც და აჩურჩულდა, ამრიალდა მრევლი. ამოიხედა პატარა ნიკუმამ; პატარა ნიკუმას მართლა უნდოდა, გაეგო, როგორ უნდოდა აღსარების ჩაბარება.

— ჩემო მრევლო, მე დღეს შევცოდე, — დაიწყო მამა აბრაამმა და ჩაისუნთქა ვიღაცამ და ატირდა ბავშვი, — მე დღეს შემძულდით, — ატირებული ბავშვიც კი გაჩუმდა ამის თქმაზე და თითქოს მარტო ეს ეკლესია კი არა, მთელი დედამიწა გაიყურსა და გაიფიქრა თავისთვის: „რას აკეთებს, ეს კარგად ხომააო?“ მამა აბრაამი კიდევ აგრძელებდა, — რომ მოვისმინე თქვენი ცოდვები, მე დღეს შემძულდით და განგიკითხეთ სასტიკად გულში და თქვენზე უკეთესი მეგონა თავი. და სიძულვილი იმხელა იყო და გავრცელდა იმდენ თქვენგანზე, რომ შემძულდა ჩემი თავიც. მე დღეს ჩემი თავიც შემძულდა და მთლიანად სიძულვილად გადავიქეცი და ცხოვრებაში პირველად გადმომიგორდა... — აქ ხმა გაუტყდა მამა აბრაამს, — ცხოვრებაში... მაპატიეთ... — ტირილი მორთო მამაომ ამბიონზე, — ცხოვრებაში პირველად გადმომიგორდა სიძულვილის ცრემლი.

გასუსული იდგა ერთ ადგილზე დარჩობილი მრევლი და რა აღარ ტრიალებდა მათგან თავებში: ზოგი კიცხავდა, ზოგს უკვირდა, ზოგი საერთოდ იმას ფიქრობდა — „რას ვაძალებდი ჩემს თავს დილით გაღვიძებას“-ო. პატარა ნიკოლოზის გარდა სხვა ბავშვები საერთოდ არ უსმენდნენ, მაგრამ აკანკალებული ხმა რომ გაიგონეს, ყურები ცქციტეს, ამიტომ რაც მერე თქვა მამა აბრაამმა, ის ყველაზე კარგად მათ გაიგეს.

— მერე კი დავინახე სიყვარულის ერთი პატარა მარცვალე თქვენს შორის და მივხვდი — სიყვარულის ზღვას სიძულვილის წვეთი ევარდვრის უზამს, მაგრამ სიყვარულის წვეთი სიძულვილის ზღვას ნაცარტუტად აქცევს...

თვლები გაუნათდა პატარა ნიკუმას. მამა აბრაამმა კი გააგრძელა და დაამთავრა:

— როცა დიაკვანი ვიყავი, მეგონა, მღვდლობისას სულ სხვანაირად შემომხედავდა ღმერთი, მაგრამ სიმართლე ისაა, რომ ღმერთი ერთნაირად გვიყურებს მეც და თქვენც. შემიწოდოს ღმერთმა და შემიწვეთ თქვენ.

იდგა მამა აბრაამი, ჩამოეყარა მხრები და ორივე ხელით მაგრად ებლაუჭებოდა რკინის ჯვარს; ელოდებოდა სიტყვებს მრევლიდან, ერთ ხმას, პატიების ერთ მარცვალს, მაგრამ საშინელი სიჩუმე იდგა ეკლესიაში.

მას შემდეგ, რა გასაკვირია და, თვალთ ალარ უნახავს მამა აბრაამი მრევლს. ბევრი მამაო გამოიცვალა, ბევრმა იქადაგა იგივე ამბიონიდან და, კაცმა რომ თქვას, არც არაფერი შეცვლილა დიდად, თუ იმას არ ჩავთვლით, რომ მას შემდეგ სახარების კითხვას მოუმატა მრევლმა. მაგრამ ეს სულ სხვა მიზეზით — გაცხარებული კამათი მომხდარის შესახებ დიდი ხანი არ შეწყვეტილა და ყველა ადამიანი მოკამათეს მტკიცებულებას სთხოვდა სახარებიდან. ჰოდა, სხვა რა გზა ჰქონდათ და, მათაც ზედაპირულად, მაგრამ მთლიანად გადაიკითხ-გადმოიკითხეს ღმერთის სიტყვები და, აბა, ვინ იცის, იქნებ გაიგეს კიდევ რამე. იქნებ შორსაც წავიდეთ და ისიც კი ვთქვათ, რომ დაამახსოვრდათ კიდევ ის თავები, მაგრამ ისე შორს წამდვილად ვერ გადავიქაჩებთ, რომ ვთქვათ, მამა აბრაამი ვინმეს დაამახსოვრდაო. და, დამიჯერეთ, ამას უზარმაზარი სინანულით ვამბობ, პატარა ნიკუმასაც კი დაავიწყდა მღვდელი.

დაავიწყდა, მაგრამ დიდი ხნის შემდეგ, ძალიან დიდი ხნის შემდეგ, როცა მთელ ქვეყანას უკვე მოესწრო და შეეძლებინა თავისი თავი დიდი ნიკუმასთვის, ის მეტროდან ამოდიოდა, როცა შავებში ჩაცმული მოხუცი შენიშნა ცივ ქვაზე მჯდარი. დიდი ნიკუმა მივიდა, ჩამოუჯდა გვერდით, ააცმაცუნა ტუჩები, ჩაახველა ერთხელ, ორჯერ... მერე მესამეჯერაც და თქვა, თითქოს თავისთვის და ძალიან ჩუმად:

— აღსარება მინდა, ჩაგაბაროთ, მამაო...



ტომბასი ესთეტი იყო და, ბუნებრივად, ყველაფერში სილამაზეს ეძებდა. ხელოვნებაც სწორედ ისე იზიდავდა, როგორც ფუტკარს — იელი, კარგ მეძებარს — ნადირ-ფრინველის შენიღბული, ძნელად შესამჩნევი კვალი, ან ჩემს ბუღეშიაშეყრილ მუზონებელ კირას — თევზების სულ უბრალო გაჩხარუნებაც კი ახლომახლო, სამეზობლოში, დღის ნებისმიერ მონაკვეთში.

სხვათაგან ვერსემჩნეული და ფასდაუდებელი ქმნილებების აღმოჩენა უყვარდა ტომბასს და მიზნად დასახულის სისრულეში მოყვანასაც მუდამ ახერხებდა, თან ძალზე იოლად. ერთი სიტყვით, დაეფიცებოდა, რომ იღბლიანი იყო.

ბევრი ადამიანი ტრიალებდა ტომბის გარშემო: საქმიანიცა და უსაქმიანიც, კეთილზნისანიცა და გულდრძოც. იყვნენ ფულიანებიც. უფულოებიც და, რაც მთავარია, ფანტაზიის კალთას გამოკერებულები — ილუზიით დაბოლილები სხვებსაც რომ თავიანთ მსგავსად ასწავლებდნენ ნელა, შეპარვით, მომაკვდინებლად.

ერთხელ, საუბრისას, ტომბი ღიმილით გამიხილა, რომ მის სარდაფში დააპოხტებული ლამაზმანების ფიტულები ოხრად ეყარა. ხუმრობდა, რასაკვირველია, მაგრამ მისი იუმორიდან შეფარულ ამპარტავნებას ზუსტად ისე მოუჩანდა ბოლო, როგორც ჩვენი ეროვნული ფოლკლორის საგანძურში მყარად ფეხმოკიდებულ მამლის ქურდს — ჩოხიდან ბოლოგამოჩრილი ხელმრუდობის წყალგაუგავი ალიბი, მის ვითომ მტკიცე ფიცს რომ ერთი ხელის მოსმით აბათილებდა.

ერთმანეთისგან ბევრი რამ განგვასხვავებდა მე და ტომბასს, მაგრამ ის, რაც გვაერთიანებდა — პოეზიის სიყვარული იყო. ლექსი უზომოდ გვიყვარდა ორივეს და ყველა სტუმარზე სასურველი სტუმარი იყო ჩვენთვის ნებისმიერ დროს, ნებისმიერ გარემოში, ვითარებაში.

პოეზიასთან დამეგობრება იოლი არავისთვისაა. მის უცნაურობებში ნვდომა იმაზე რთულია, ვიდრე ნებისმიერი კვადრატული თუ კუბური ამოცანის ამოხსნა, თუნდაც ყველაზე მარტივი ხერხით. ამიტომ ვერანაირი გათვლა, ნადილი, მინიერი თუ ზეციური მფარველი ვერ გაგიკვალავს გზას მუზათა თავშესაფრისკენ, ბევრს რომ მოსვენება დაუკარგა, თუმცა ამაოდ — მაღალი ჰაერი ყველას ერთნაირად როდ აჯანსაღებს. ზოგიერთთან პირიქითაც ხდება.

ობოლი იყო ტომბი. ობლობა არც დანაშაულია და არც ნაკლი, ისევე, როგორც ვნებასაყოლილობისა და გონებადაბინდულობის მოსალოდნელი, ან გარდაუვალი შედეგი — ნაბიჭვრობა, მაგრამ საზოგადოება მაინც სტეგმად თვლიდა ერთსაც და მეორესაც და უეჭველია, ეს თვითონ მასის უმნიფრობაზე მეტყველებდა.

— კიბო მაქვს, მაგრამ ვმალავ და ნურც შენ განიბაზრებ. არ მინდა, ვეცოდებოდეთ და თანამიგრძობდნენ, — აღსარებასავით ჩამესმა ტომბის სიტყვები ზაფხულის ერთ მშვიდ საღამოს.

გავშრი. მომეჩვენა, რომ ყველა ბგერა ერთნაირად შეისრულა ღამის წყვილად და სიჩუმე, რომელიც სასიამოვნოდ მელოდიური იყო, ისე დაიძაბა, დაწყვიტამდე დაჭიმულ სიმს დაემსგავსა, რომელსაც პლექტრის შეხებაც კი ვერ დააცდენინებდა სასურველ აკორდს. რატომღაც, ოდნავადაც არ დავეჭვებულვარ ამბის რეალურობაში და, მითუმეტეს, არც დეტალებში გარკვევა მივიცა.

— და ასე არაფერს, სულ არაფერს ცდილობ მისგან თავდასაღწევად? — რაღაც დროის მერე როგორც იქნა დამიბრუნდა მეტყველების უნარი.

— არა, არ ღირს. ექიმმა მითხრა, რამდენიმე თვის სიცოცხლეა გაქვს დარჩენილი.

მომდევნო დღეები ბუნდოვნად მახსოვს. ვერაფერზე ვფიქრობდი, გარდა იმისა, რომ სიკვდილი იყო ყველაზე საძაგელი უსქესო არსება, რომელსაც დაუფიქრებლად შეეძლო წაეყვანა ყველა, ვინც კი თვალში მოუვიდოდა. წაეყვანა სხვათა აზრის გაუთვალისწინებლად.

შეუთანხმებლად თავხედურად.

ყველაზე ძალიან რაც მადარდებდა, ტომბასის პოეზიიდან აბარგება და უპოეზიო მხარეში გადასახლება იყო. ეს მზარავდა. საპირისპირო ფიქრები როგორც კი შემომესეოდნენ, თავის მართლებების რეჟიმი

მერთვებოდა და ოთახში ბოლთას ვცემდი: — რა უნდა იქ პოეზიას, რა?! იმ უკუნსა და წყვილადმი რომელი მუზა გაძლებს?! ან ვინ მოუსმენს?! ან რატომ მოუსმენს?!

— ეს შენი წარმოსახვის შედეგია. არავინ იცის სად მეტი პოეზიაა: სიცოცხლეში თუ სიკვდილში — კრიჭაში მედგა მეორე „მე“.

— და როგორ შეიძლება პოეზია იყოს იქ, სადაც ძალით, ნებართვის აღების გარეშე მიჰყავხარ?

— გაურკვევლობიდან გარკვეულობაში გადასახლებაც პოეზიაა.

საძილე აბები რომ არ დამელია, ამ ყველაფერს ვერ გაგუძობდი და მეც ვსვამდი. მაგრამ მაინც ფხიზლად მეძინა.

და ამ სიფხიზლისაც ძალიან მეშინოდა. მახსოვს, ბავშვობაში მე და ბებია ხშირად ვსაუბრობდით გარდაცვალებაზე. სასა-



ფლაოზეც ერთად დავდიოდით და ქვაში გამომწყვედელი ფოტოების თვალყურებისას ხშირად მინედა ფიქრი იმაზე, თუ რატომ იყო აუცილებელი მინას მიებარებინა, მიესაკუთრებინა ადამიანი. რატომ კვდებოდნენ ბავშვები? სიკვდილის მერე რა იცვლებოდა ამ სამყაროდან წაყვანილისთვის?

თავიანთ ხმას, ფერს, სუნს რად გარდაქმნიდნენ წასულელები, ან სად ტოვებდნენ, თუკი იქ არ დასჭირდებოდათ?

და ახლა, როცა ტომბასის დაბალი ხმის ტემბრი ჩემს ახლომახლო არეალში საოცარ სიმშვიდედ ვრცელდებოდა, მისი გაქრობის რეალურობის დაჯერება არც მსურდა და ვერც წარმომედგინა.

ან რატომ უნდა გამქრალიყო? რა დანაშაულის გამო? ამ ხმას ხომ პოეზია უყვარდა და ვერც პოეზია იქნებოდა მის მიმართ გულგრილი. ნუთუ ლექსებს არაფრის შეცვლა არ შეეძლოთ?!

ავიკვიატე, რომ თუკი ჩემი საძინებლის ფორთოხლისფერ კედლებს მეღნისფრად გადავებავდი, ტომბასი აღარ მოკვდებოდა. ფორთოხლისფერი ჩემი საყვარელი ფერი იყო და მისი დათმობით სიკვდილს ერთგვარ ხარკს ვუხდიდი. მეღნისფერი კი ინდიგო ბავშვის დახსნაში დამეხმარებოდა.

ხშირად, თვითონ ლექსები მკარნახობდნენ მათთვის სასურველ ანტიურაჟს. ამიტომაც, სულ თავიდან, ლომონისფერი იყო ჩემი „ნიჟარა“. მერე — სალათის ფოთლების ფერი და ასე შემდეგ, მეღნისფრამდე.

— ყველა ცხოველი მიყვარს. ყველა სულდგმული. ვეგანი არ ვარ, მაგრამ ხორცს იშვიათად ვჭამ, — ეს რომ მითხრა, იმ დღეს დაბეგვილი ხბოს ხორცის კატელტი მქონდა სადილად და არათუ პირი ვერ დავაკარე, კერძის სუნმაც საშინლად გამაღიზიანა. მეჩვენებოდა, რომ სისხლსმონყურებული კანიბალების საიში საპატიო თუ არა, თვალსაჩინო ადგილს მაინც ვიკავებდი. ისე დავითრგუნე, ლექსების კეცხედვასაც ვერ ვებედავდი. ტომბი კი თავგზზე მიყვებოდა, მოშინაურებულ თავგზზე და თებერვლის ხაფანგისმაგვარი დღის კონსტრუქციას აწყობდა რაღაცის ნარჩენებისგან.

როცა ზღვა მესიზმრებდა, ბავშვობისდროინდელი გემოები მახსენებენ თავს. ცოტა უცნაური, ტანდემური გემოები: პურისა

და საზამთროსი, სიმინდისა და თაფლის, ბრინჯისა და არაჟნის, ტკბილი ალაღებისა და მასში ჩახეხილი ყველის. ვის მოაფიქრდა მათი დანყვილება, არ ვიცი, მაგრამ საზიზღრობა კი იყო და ეს ზღვისადმი სიყვარულს მიუფერულებდა.

ნუხელაც ზღვა მესიზმრა. მესიზმრა პოსეიდონიც, თავისი განუყრელი სამკბილათი ხელში. წყლის ზედაპირი მოფენილი იყო სწორედ იმ საძაგელი საკვებით, ახლახან რომ გიყვებოდით. ზღვათა მბრძანებელი გრუზუნა ხმით მაუწყებდა, რომ თუკი ტომბასის გადარჩენა მსურდა, ზღვაზე მოტივტივე გასტრონომიული ნავაგა და მსვენებლებისთვის ისეთი რეკლამა გამეკეთებინა, რომ ერთი ნაჭერი პური, ერთი ტარო სიმინდიც კი არ დარჩენილიყო გასაყიდი. და მე, მთვარის შუქზე ამომქონდა



და ამომქონდა წყლიდან დამბალი საკვები, ვალაგები ჟანგთან დახლებზე. თან, ხმამალა წასაკითხ ტექსტს ვამზადებდი.

ღმერთო, რა კომპარი იყო ეს ყველაფერი! გამოღვიძებულმა ტომბის ვუამბე სიზმარი.

მთხოვა, მომეყოლა ყველა იმ შიშზე, რომელიც მოსვენებას მიკარგავდა და პარალელურ განზომილებაში გადახვენილ სიმშვიდეს მაშორებდა.

ვცადე, აზრები დამეღაგებინა. ვერ შევძელი. წინადადებებში ათი სიტყვიდან ხუთი „კიბო“ იყო. ვერც ვშლიდი, ვერც გონებას ვუბრძანებდი მის არაღმოცენებას.

ისევ აბებისთვის უნდა მიმემართა, მაგრამ როდემდე ასე?!

დრო კი ვადიოდა საათებად, დღეებად, თვეებად.

უძილობა ჩვევაში გადამეზარდა. ტრანკვილიზატორებიც ვეღარ მშველოდა უკვე. მუდმივად ცუდის მოლოდინმა ჩემს ხასიათზე საშინლად იმოქმედა და თითქმის ყველა მეგობარი ვაიძულე ჩამომშორებოდა. მათთვისაც ასე სჯობდა და ჩემთვისაც. ოდესმე დასასრულიც დადგებოდა, ალბათ. არ დავეძებდი, როგორი იქნებოდა ფინალი, ოღონდ წერტილი დასმულიყო. ერთხელ და სამუდამოდ დასმულიყო წერტილი.

და სანამ ყოვლისმნახველი და მაინც უემოციო (უსმენოც) ლურჯი პლანეტა რომელიმე უცნაურ საკრავზე დაამღერებდა ჩემთვის სახელდახელოდ შეთხზულ ბოლო აკორდს, მდინარეობა გადავწყვიტე — არასახდენი სიზმრების მიმბარებელ მდინარედ გადაქცევა. მაგრამ, აქვე, არც ის უნდა დამეჩვენებოდა, რომ სხვათა სიცოცხლის მიმბარებელიც უნდა გავმხდარიყავი, თუმცა, დედამინაზე დარჩენილთათვის, მათი ახლობლების ნებით

შენწყვეტილი და ჩემში გაგრძელებული არსებობა რომ ანტონიმურად მოინათლევოდა, არც ეს იქნებოდა მოულოდნელი. და რაც ყველაზე მთავარია, თვალის მოხუჭვის ნება სამუდამოდ მერთმეოდა — უალტერნატივოდ უნდა მეფხიზლა.

ასე გავხდი მდინარე. მდინარე, რომელსაც ადამიანზე მეტი პასუხისმგებლობა უნდა აეღო.

ასე შევიცვალე და სამუდამოდ მოვწყვიდნარსულს.

ასე დავემუხჯი და გავწყალდი. არ დაიჯერებთ და ფხიზელსაც მესიზმრებოდა უცნაურობები.

სხვადასხვა სენით შებოჭილები მოდიოდნენ ჩემთან, მესაუბრებოდნენ, მეჩვეოდნენ, რჩებოდნენ და უკან დასაბრუნებელ გზას საგულდაგულოდ შლიდნენ. თავი ყველასგან შორს ეჭირათ.

ყველას გაუბრუნდნენ. რამდენჯერაც გადავწყვიტე, ჰომო საპინსად ნოდებულები არსებების ქმედების საიდუმლოსთვის ამეხადა ფარდა, ყოველ ჯერზე კედელს შევეჯახე. რა სურდა ამ უცნაურად მოაზროვნე, მათ გვარ-ტომთა ცხედრებზე მონადირე თევზებით სტომქადაკმაყოფილებულ, მეტყველ მასას, ნებსით თუ უნებლიეთ, კანიბალთა ხროვად რომ ყალიბდებოდა?!

ჩემს ძარღვებში მოჩხრიალე წყლის ნაკადის ხმა ტბორად ქცევის უფლებას მართმევდა და რომ ვერ ვჩერდებოდი, ყვირილი მინდებოდა.

მეც ვყვიროდი. ვყვიროდი ბოლო ზვირთის შემომსხვრევამდე.

იოგებიც მეთიშებოდა და ნამიერად ყირავდებოდა მარადიული სურათი: გულქვა ნიღბები მონანულით იცვლებოდა.

ერთი ნამღერება... ერთი ნაცნალება...

მარჯვენის ტრექტორიის ერთჯერადად / თუნდაც მრავალჯერადად შეცვლა და — ყველა კაენი კვლავ სანყის პოზიციას უბრუნდებოდა.

მერე გამოჩნდნენ ნახევარადამიანები, მხარილივ გადაკიდებული ნახევარი სიმართლითა და კუზებად ამოზრდილი მეტასტაზებით. იმ სიზმრებიდან გადმოსულებს ჰგავდნენ, მე რომ ვუყვებოდი მდინარეს მამინ, როცა ჯერაც არ ვფიქრობდი მდინარეობაზე. როცა სიზმარი დავარქვი სათითაოდ ყველა არასასურველ ცხადს.

და როცა რომელიმე ნახევარადამიანი წარსულის წასაშლელად დაზვერავდა ჩემს სივრცეს, შიში აბორტმახერის ფითქინა ხალათზე მუშამბის წინსაფრის აფარების მიუხედავად შემხეფებულ ალუბლისფერ, მფეთქავ, ჩვილ ნაფლეთებს ემსგავსებოდა, ვერც გარეცხვა და ვერც დანვა უკვალოდ რომ ვერ გააქრობდა.

და ახლა, ოცდარაღაც წლის შემდეგ, ჩემს მსგავსად მოფიქრალი მართლახევარადამიანის გამოჩენამ და მისი კვალის აღბეჭდვამ ჩემს რუხ, გაქვავებულ და ალაგ-ალაგ მოლინჭყულ ნაპირზე, მიმახვედრა, რომ მას და მე ბევრი რამ გვქონდა საერთო.

ის, რაც აუცილებლად უნდა შეგვძლებოდა, ერთმანეთის აზრების ხელისგულეზზე წრიულად განლაგება, შემდეგ კი, მათი წყალში განწმენდა იყო. ეს ყველაფერი მისტიკურ რიტუალს უნდა დამსგავსებოდა.

ტომბის არ უჩქარია. კარგა ხანს ფიქრობდა. სიგარეტის ნერვულად ლეჭვასა და ბოლთისცემას რომ მორჩა, მოვიდა, სახელოები აიკაპინა და მკვლელები იდაყვებამდე ჩაყო წყლის ჩქერში. თან ჩუმად იმეორებდა სიტყვებს — ლიფსიტების ქარაგანივით აფუთფუთებულ, დაფლეთილ შიშებს, ელვის უსწრაფესად რომ ეხვეოდნენ წყალმცენარეთა ბადეში. ცოტაც და ვიგრძენი, როგორ გავიდა ჩემგან მთელი საარსებო ენერგია. როგორ გადავიდა ის ტომბის ძარღვებში. როგორ განიკურნა და აღარაფერი დარჩა მისი ავადსახსენებელი მეტასტაზებისგან.

აქა-იქ მოჭრილად ჟანგისფერი ეჭვებილა შემახსენებს უკვე ჩავლილ ამბებს, მწვავე ურტიკარიის მსგავსად რომ მაყრიდა და მაყრიდა ტალღების ვერცხლისფერ ქობაზე.

ცხოვრებას აღარაფერს ვსაყვედურობდი.

მისია შესრულებული იყო, ამიტომ ისევ ადამიანობას უნდა დავბრუნებოდი.

ესთეტი იყო-მეთქი ტომბასი, ვამბობდი — იღბლიანი ესთეტი.

ეს ბევრს არაფერს უნდა ნიშნავდეს, მითუმეტეს, ფოლკნერის გამოცდილებასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ „ფაქტებსა და ჭეშმარიტებას ბევრი არაფერი ესაქმებათ ერთმანეთთან“, მაგრამ პოეზიის გადამრჩენელის კომიკური იმიჯი ამ ერთხელ, ისევ მოვირგე. გულუბრყვილობა უფრო იყო ეს, თუ სიცოცხლესა და სიკვდილს შორის მედიატორობის დაუოკებელი სურვილი და მცდელობა, ვერ გეტყვით.

თუმცა, მე მაინც ვცადე.



პაპუნა ფირცხალაიშვილი

შვილს

დემნას

„და ჯერ მისი პასუხი მატარებლის კუპეში კარის ჯახუნს არ ჰგავს...“ გივი გეგეჭკორი

როცა ცოტა თოვლი და ბევრი თბილი ღიმილი ათეთრებდა თბილისს, მაშინ დაიბადე და გახდა ჩემი სამყარო ორჯერ უფრო თბილი.

გზებზე მიმოზებია, ყვითლად იმოსებიან, შენ ერთი წლის გახდი. შენთვის მოუქარგია ტყემალსაც და ქლიავსაც ყვავილებით ტახტი.

მიყვარს შენი თითები, სიფრიფანა ყურები, მე რომ შენი მქვია. მიყვარს შენი თვალები, ცაზე უფრო ცისფერი, ზღვაზე უფრო ღია.

მიყვარს შენი ბუტბუტი, ჩემთვის წვერის მოპუტვა, რომ სიარულს ცდილობ. მუდამ რომ იცინი და მუდამ რომ მიბრაზდები, ჩემო ტკბილო შვილო.

შენ ყველაფერს გაიგებ, მე ყველაფერს გაიმბობ, მინდა, ბევრი გითხრა. იყავი ბედნიერი, ლალი, ან და მარადის ანდა უფრო დიდხანს.

ვხვდები რჩეულიშვილია. არ ვარ მრავალფეროვანი და სიკვდილის მეძინია.

ჩემში მოკვდა ხელოვანი. მაგრამ გოგო ქერა თმებით როცა მხვდება, გელოვანი

მახსენდება. მელანდებით. ეს ბავშვობის პათოსია. ხელში დნება კელაპტრები.

მათოვს მე და ათოვს იას და სიცოცხლეს რაც ეძღვნება, ყველა ლექსი ლაღოსია.

მე მძულს, კაცი რომ ვერ ძლება, თან სიცოცხლე ისე მინდა, რომ ვერ დავთმო. მომეზღვება

ყველაფერი მე ჩემითაც. თუთიყუში ავა მხარზე და ვიცხოვრებ შერჩევითად.

ამ ხორცს ბევრი დავახარჯე და ნამშობი ჩართულია, როგორც ვახტანგ ჯავახიძემ

და ტარიელ ჭანტურიამ, მეც მსურს, ბევრი რომ ვიცოცხლო, ვიდრე არ შემჭამს ღუნია.

თუ დაინვა რომი ცეცხლით, ისე გაქრა, როგორც ხინვი, მინდა, ვნახო (დრო ისეც ღირს

ძვირი) კრემლი როგორ იწვის. მისრულდება ჩემი ლექსი. ვგავარ გზააბნეულ წინილს.

მისრულდება ოცდაექვსი.

ღიღი კითხვის ნიშანი?

როგორ უნდა ვიმოვო პოეზიით ფული? ბედნიერი რომ ვიყო და გახარებული, ცოლს რომ ჰქონდეს ჩემმა და

შვილს რომ ჰქონდეს პური, შვილს მანქანაც ჰქონდეს და არ წყდებოდეს გული სხვის სათამაშოებზე, იყოს ანთებული. სახლი იყოს თბილი და სულ განათებული. მამა იყოს მშვიდი და დედა გაბადრული, მე არ ვიყო დაღლილი და არც დატანჯული, რომ არ ჰქონდეთ მომხდურებს თავზე გადა*მული, ვიყო დასასვენებლად ან დასვენებული, უფრო მოსიყვარულე, უფრო მეგობრული, მქონდეს აგარაკი და აღარ მქონდეს შური აგარაკიანების, მოდაზე ჩაცმულის. დავილაღე ამ ფიქრით ტვინში გახლართულით, როგორ უნდა ვიმოვო პოეზიით ფული?

ტრიოლატი N4

ფიქრები გაურბის ქათქათა მთებისკენ, სხეულს კი აკავებს მორჩილის სამოსი. ხალხისთვის წირვაზე არიგებს სეფისკვერს. ფიქრები გაურბის ქათქათა მთებისკენ. თვალები კეკლუცი გოგოსკენ, ვნების გემს მიჰყვება. ოცნებას ლოცვა ვერ ჩამოშლის. ფიქრები გაურბის ქათქათა მთებისკენ, სხეულს კი აკავებს მორჩილის სამოსი.

საიუზილეო ლექსი — ასაკის შიში

მისრულდება ოცდაექვსი, გარეთ ქარის შიშინია. ნაცნობი ხმა რომ ჩამესმის,

საკონკურსო ლექსი

მახსოვს რომ ადრე ლექსებს ვწერდი, ხშირად მინდოდა, ხშირად მითრევდა, ჩავყოლივარ ჩემი ნებთაც, ახლა კი მშვიდი ცხოვრება მაქვს, უამინდო და

ცივი დღეები აღარ მიყვარს. ცემინებითაც არ ვაცემინებ მზის სხივებზე. გასაკვირია, ცოლი შემინდა, ამ კონკურსს ნუ გამორჩები და

ლექსი დანერე. მე არ ვიცი, რასაც ყვირიან ჩემი შვილები, ეს ყვირილი როგორ ვუქციო ლექსად. ტკივილის და ცრემლების გასაჭირია.

ვერ ვუერთდები პოეტების ამ აუქციონს, ცოლი კი ისევ მაინფორმებს: „მალე, დაწერე!“ და ვერ ვიპოვე გზა ისეთი, რომ აუქციო

გვერდი ცოლს — სურვილს, სურვილების ბოლო საზვერეს. და დიდი ჭიქით ყავას ვიდგამ და ამ ღამითაც თუ გავათენე უშედეგოდ, რომ დამაზულენ

ნიხლს სამსახურში, უმუშევარს შინ ვინ ამიტანს?! არადა ლექსიც საქმე არის, მთელი ერთი თვის ხელფასს უდრიდეს შეიძლება, სამი გრამი და

ნაოჭიანი ტვინი უნდა ლექსი — ვერდიქტი რომ დაინეროს. თუ საბჭოთა ბინძურ სისტემას უწერდნენ ლექსებს, რა მოხდება ჩემი გვერდითი

ეს ერთი ლექსი (თუ ათასჯერ აფერისტებმა და პოეტებმა იხიერეს) მეც რომ გავხედო, ცუდი ლექსების სტატისტიკა არ გაიზრდება,

ნამდვილად ვიცი. არ მსურს, ვინმე რომ დავაფეთო, თუმცა მიმიჩნევს ჩემი ცოლი საუკეთესოდ. ლექსში არ ჩავყრი ვარსკვლავებს და არ ჩავაფენ თოვლს,

გასაფორმებლად მირჩენია, რითმა მეთესოს, მთავარია, რომ ჩემი ცოლის სურვილს ვასრულებ, მისი გულისთვის გავავსებდი თოვლით ერთ ეზოს

(ამ ეზოს გარდა). ცოლებს ვუძღვნი, თავზე გასულელებს, ლექსს შესანიშნავს, თითქმის შედევერს, სიბრძნის კიდობანს, რომლის დანყებაც არ მინდოდა და დავასრულე.

მშვიდობით, ლექსო

მშვიდობით, ლექსო, მოვისროლე ჩემი კალამი. ბედნიერი ვარ, ანი შენთან რა მესაქმება, ახლა თავს ვირთობ ფეისბუქით, ბევრი სხვა რამით,

ორი შვილი მყავს, ერთი ცოლი. რა ვქნა, საქმე მაქვს, კალატოზი ვარ, ცემენტს ვზელ და სახლებს ვაშენებ. დროებითია. ქვა და რკინა? — ესეც გაქრება.

მახსოვს, რომ ხელი ბევრჯერ ჭირში შემომამშველე, გვერდში ღმერთივით დამიდექი, უფრო ახლოსაც ვიყავით, ცრემლის მლაშე წვიმით როცა გასველე.

კაცი ასეა, ჯერ თავის დარდს შემოგახოცავს, მერე მიგაგდებს სანაგვეზე, როგორც არაფერს. არადა შენგან მინა შორს ჩანს, ხოლო ახლოს ცა.

გემშვიდობები. სიგიჟეა. კაცი გააფრენს... თუმცა მკაცრია ბორკილივით ბედნიერება. ლექსებს არ გავფენ და თეთრს გავშლი ქარში სხვა აფრებს.

ბედნიერებას მხოლოდ თეთრი ფერი ერევა და არა მელნის, არც დაისის, არც შემოდგომის, არ უყვარს ქარი და არც წვიმის ბილწი ფერება.

მისგან სევდას და ნოსტალგიას ადევს ბოქლომი, ადევს ყადაღა, ადევს ვეტო, ადევს გრანიტი. ველარ ვიქნები ხვალ ამაყი სიტყვით — ოქროთი

და სადღეგრძელოს ჩუმად ვიტყვი, ანდა არ ვიტყვი საერთოდ, რადგან რა აზრი აქვს ლექსის გარეშე, უშენოდ არ ვარ ან თუკი ვარ, მაშინ ვარ ტყვიის.

ბედნიერი ვარ და გშორდები. აი, მალე შენც მორჩები. მორჩა. გათავდები. რაა ტერცინა? ჩამოინგრევა ის კედელი, ჩვენ რომ გავლესეთ

და აღარასდროს მოვიგონებ ჩვენს დროს, ძველს, წინას. არ გაიშლება ჩემს ქუჩაზე შენი ალაამი. მშვიდობით. უნდა დავიძინო, უკვე ძვლებს სძინავთ.

ტრიოლატი N3

მოფრინდეს ჩიტი კოლიბრი, ნაილოს ვარდის წვენი,

თავისუფლების ორი ფრთით მოფრინდეს ჩიტი კოლიბრი. ამ ჩემი თვალის კალიბრში ჩანდეს მშვენიერა შენი, მოფრინდეს ჩიტი კოლიბრი, ნაილოს ვარდის წვენი.

უმღერაპალი სიმღერა

შენ სულ გიყვარდა წვიმა, მე სულ ველოდი თოვლს, წვიმს და ფოთლები ცვივა, წვიმს და ნასულხარ შორს.

მისამღერი:

ფოთლები ყრია წვიმაში ძირს, ჩემთან მოდი თოვლივით, ქარები ქრიან და მაინც წვიმს, მოდი ფიფქი მოვლილი.

ხვალ რომ ითოვებს, ვიცი, ხვალ ცა გადმოყრის ცარცს, შენ კი დამაყრი სიცილს... წვიმს და მომავლის მნამს.

მისამღერი:

ფოთლები ყრია წვიმაში ძირს, ჩემთან მოდი თოვლივით, ქარები ქრიან და მაინც წვიმს, მოდი ფიფქი მოვლილი.

ნარილი ცოლს

ადრე, როდესაც ჩვენს სიყვარულს სულ სხვა სახელი ერქვა, ფორმები არ გააჩნდა, დადგენილება არ ჰქონდა ზუსტი და ბოლომდე, ფართოდ გახელილ

თვალით საზღვარი არ უჩანდა, როცა წველებად იკრიბებოდნენ ჩვენს გარშემო, ჩვენი სტატუსი იყო სიგიჟე, იყო ზრუნვა, იყო ცვლილება.

ახლა კი მქვია შენი ქმარი, ყველა გრადუსით მხედავ და, ვიცი, არ გიყვარვარ უფრო ნაკლებად, მე შენს სიყვარულს, წლებია, რაც ასე ბრმად ვუზი-

ვარ და სხეულში ვნების გველი დაიკლაკნება. მე არ ვვარგვივარ შენ გარეშე, მხედართმთავარი ჩემგან არ შედგა... არ ვვარგვივარ ვაშლის საკრეფად

და არც არაფრად არ ვვარგვივარ. შენკენ მავალი, მუდმივ მგზავრად თუ გამოვდგები, შესაძლებლობა ამის ნაღდად მაქვს და მკერდიდან შენთვის ავარდნილ

გულს ვერ დავიჭერ, ჭაობებში ვერ ჩაეფლობა. მე შენით მძინავს, შენით ვსუნთქავ შენით ამაყი, მე შენით მადგას გვირგვინი და ჩემი მეფობა

სწორედ ეს არის. გაჭიმული ჩვენი ჰამაკი, ვიცი, რომ მუდამ იქნავეებს, ისე აბია და თუ დავმარცხდი, მაპატიე, მღვდელი პარაკლისს

არ დამამადლის და გრანიტი ეპიტაფიას. მაინც ხომ ხედავ — ჭაობია. ორი ლოტოსი უნდა გადავრჩეთ, ვიყვავილოთ. ჩვენი კაფეა —

ქილა ლუდი და სანაპირო, ჩვენს ძველ ფოტოში ისე კარგად ჩანს ყველაფერი, თითქოს სარკეა ბედნიერების. გაიყოლებ ჭადრის ფოთოლსაც

სახლში და სწრაფად დაივინებ იმ ჩემს მანკიერ ქცევებს, რომლებიც დღეს აღარ მაქვს. საოცარია, რაც უფრო მეტად დავჭკვიანდი, გამოვარკვიე,

რომ შენ სხვაგვარი შემოვიყვარე ასე ძალიან და რადგან შეგრჩი მელოტი და ცოტა უხეში, უფრო გიყვარვარ, რა თქმა უნდა, ჩემი ბრალია —

დავიმსახურე (ვაკანსია არ მაქვს უღელში) თუმცა ჩემს გამო ცრემლი ბევრჯერ ბევრი გიღვრია და ვარ ავტორი ამ ლექსის და შენი წუხილის.

რახან დავინწყე, მაშინ გეტყვი, რომ თავს იღბლიან კაცად ვთვლი, რადგან სიყვარული ჩვილი, სათუთი შემოგვეზარდა ხელეხს შუა, სულ სხვა ნიბლი აქვს

ცაცხვის ხესავით ცაში აჭრილს, სწორად დატოტვილს. გთხოვ, მაპატიო ყველა შიში, ყველა ნაღველი, ყველა სიმხდალე, ბოდიშს გიხდი გულით, ფართოთი.



მარიამ გიორგაძე

ნარმოიდგინე, ხე ხარ და ჩრდილში დაგთამაშებენ ჭიანჭველები. ნარმოიდგინე, ხე ხარ და ტოტებს საცეკვაოდაც გამოიწვევდი. ნარმოიდგინე, უსასრულო ხარ, როგორ შეგარხევს ფოთოლთა ჯარი. და სანამ წვიმად გადაიქცევი, იქნები სეტყვა, იქნები ქარი. იქნები დილა დანისლულ ტყეში, იქნები ძალა მოუსავლეთში, პურის ბალებში მინა იქნები, მინა ნაყოფის გამოღვივების. ყველგან იქნები, სადაც არ სძინავთ, სადაც სიმღერა ჰყვება თავისას. ორლობებში ცერად იდგები, გარიჟრაჟამდე სახლში არ მიხვალ. ხეტიალისგან დარჩები მარტოდ, უიმედობის მსგავსად ჩაიცვამ. სადაც კი მიხვალ, ყველგან გამხელებ, ბედნიერების აბჯარს აისხამ. არ დაგავინყდეს, უსასრულო ხარ და შენი კუთხე არსად არ არის. არც სარეცელი გიდგას, ოდესღაც საკუთარ ბინას რომ ეძახოდი. ნარმოიდგინე, ხე ხარ და ჩრდილში დაგთამაშებენ ჭიანჭველები. ნარმოიდგინე, ხე ხარ და ტოტებს საცეკვაოდაც გამოიწვევდი.

იესები მარტო და საფიცარი არავინ არ გყავს. იძინებ მარტო, ბალიში შენთან, იხუტებ გულში. წერტილებს ჭაღზე ითვლი უმიზნოდ და ფიქრობ სხვაგან. რა მოხდებოდა, ახლოს იყოს არავინ ახლა. საუზმეს ტოვებ, სადილსაც და ვახშამი დაგრჩა. დღის განრიგიდან თითქოს რაღაც შეავსო უნდა. თეფშზე დაიდებ სხეულებრივ საკუთარ თავსაც და შეექცევი უხმოდ, უსიტხოდ, ბავშვივით მარდად. ტკივილსაც შეჭამ, უგემურს და უმარილოს.

ნარმოსახვით კი მიაყოლებ ბედნიერებებს. სიხარულს გემო დაუკარგავს უმარილოდ, რომ შენს გარჯილზე ძღვენს უტიფრად შეიფერებენ.

სასწაულები იწყება მაშინ, რომ დააძინებ შეილს. ორივე მხრიდან უკეცავ საბანს, ბალიშს უსწორებ ძილს. ღამე გრძელია, შენ ამ ლოდინში არ დაიღლები ძლივს და სანამ დილა გამოცხადდება, მაჯას უსინჯავ თბილს. სასწაულები მაშინ იწყება, სიჩუმე გაძღვეს ნიჭს. მის სიღრმეებში მიმოიხედო დახუჭულ თვალებში. ვერსად ნაუხვალ, ვერ დაანებებ, გვერდის გამოცვლაც სწყინს. ისე სუფთაა, ისე ღამაზი და რომ ყოველდღე გცვლის. იგი უთვალავ ვარსკვლავთა შორის გამოინათებს, გააჩენს სხივს. შენს სამყაროში შემოიჭყიტავს, თუ რამ დარდი გაქვს, გცლის.

როგორ არ იცი, რას ჰყვებიან თვალები ჩემზე? რომ ყოველ დღით შიშით მაძლარს დავათრევ სხეულს. არც მთლიანი ვარ, ვერც ნახევარს მიმიღებ, ვგონებ. ჩემი სიცოცხლეც უსიკვდილოდ არ შემოიყვარებს.

კაცმა ჰკითხა სიკვდილს — „ვინ გავალებს მომკლა?“. სხვას სიკვდილი ღმერთმა ჩაუთვალა ცოდვად. თუ მაცოცხლებ, გეტყვი, წლებს როგორღა ვთელავ. უსახლკარო ყმანვილს მნარე ენით ვგესლავ. ფეხმძიმედ რომ იყო, მაშინ მივატოვე. ცხვირნინ ჩემი ვალი იქვე დაუჭოვე. და განვსაჯე ყველა, ჩემი თავის გარდა, ჩამოვუშვი სახლში მგლოვიარეს ფარდა. ზღვას მოვხსენი ქაფი, დედა ავატირე. მამის შენიშვნაზე ძმაც ხომ ავახირე. მუხლი მოვიყარე, თითქოს ვინანეო. რაც კი საცოდავი საქმე ვაკეთეო. მერე წამოვვარდი, ბრაზი დავანთხიე. ყველას სინანულზე შური მე ვიძიე. ყველგან ჩავერიე, ყველამ გამიტანა. მხოლოდ შენღა დარჩი, ვინც არ ამიტანა.

იქტირე შენი ფანჯრიდან მარტომ, მე არ ვიქნები. მე არ მიყურო, შენს წინ არ ვდგავარ, აღარც მოგელი. და ასე კვდომას არ გერჩივნა ბრძოლაში ჩემთან. გეომა ჩვენთვის, სანამ ფეხზე შეგეძლო დგომა.

სამოსელიდან ამო-ვარდი, დასელილ მინდვრებს გადაურბინე. სამურაების ბრძოლა ისწავლე, ხანჯლებიც ლესე. ციტრუსის ბალებს ლიმონი ართვი, გლეხი შეგიღებს მაგ წმინდა კარებს. მინას აჩვენე შენი სამოსი ამო-ვარდნამდე. დადექი, მხრები გაუშალე და სახით მისკენ, ასე აუნწყე შენი მოსვლა სამყაროს მზიანს. მაგრად დადექი, ტირილამდე ნუ დაეცემი, თქვი დავიბადე!.. სამოსელიდან ამო-ვარდი, აქ ხარ დაგხედავ. სელიან მინდვრებს მუდამ თელავს ვილაც თმინი. ქარიშხლად მორბის, გადაუვლის მერე ინათებს. მოვა თუ არა, თავს წამოყოფს ადამიანი.



ზაალ ებანოიძე

ტყეს, ტყეს სჭირდება ტაძრის რიდობა,
გული სჭირდება, გული მლოცველი;
წყდება ბაგეზე სიტყვა „მშვიდობა“ —
ტროპარს კითხულობ ციდან მონერილს.

ჩააცმევ ხელით ვარსკვლავებს ტანზე
(ვარდისფერ კაბას იტყვიან სხვები);
წვები ეკალზე და წვები ნარზე,
დასაძინებლად მკვდარივით წვები.

ლრუბლებში მთვარე დარცხვენით ღვივის,
მთვარეში შავი შრიალეებს ჩალა,
აქედან ახლა ჭალებზე თივის
ზვინები ბაყაყა-ღვევებად ჩანან.

აგროვებს ყური ჭალიდან ნაცნობ
მუსიკად მოსულ კრულის სოლოს,
მთელი ცხოვრება ჩავლილა, რაც რო
ღამესთან, როგორც სხვის ცოლთან ცხოვრობ.

ჩაუხსნი თრთოლვით ღამურის ღილებს,
თითები უკვე გულისპირს ჩაცდა,
და ირგვლივ, როგორც კარსტული მღვიმე
ისე გაქვს, ახლა, ამ ღამის განცდა.

გაფოთლილია სხეულში შიში,
შენ — არა, მაგრამ თავი მომწყინდა;
ამად მოდიხარ ხანდახან ძილში
და თვალზე მომდგარ კურცხალს მომწმინდავ.

მათოვს ხანდახან, ხანდახან მანვიმს,
მცხელა ხანდახან, ხანდახან მცვივა.
გრძელდება ასე კვირიდან კვირე
ნოლა ეკლებზე და თავთან ომი;
რასაც ვერ ვამბობ — ვავალე „ტირეს“ —
ხიდად გადებულს ორ სიტყვას შორის.

ორჯერ იცვალა პირი ამინდმა
და შორიხლო რჩება მიზანთან;
ლრუბელი მხარზე ციმ-ციმ გაიდვა
და მზეც წვიმაში გადაიზარდა.

ეს ღამეც გამოიხმობს სიზმარს
და შენს ფანტაზიას ამონებს;
და ტანზე პერანგით ისხამ
ნიავის სიფრიფანა სამოსელს.

მინის დაბადება

მდორე დინება... აქა-იქ ქაფი...
წყალზე თუ ითქმის — რონება წელის...
და იკერება სხივების ძაფით
გაღმა-გამოღმა ველები ვრცელი.

და იღუმალი ბგერა და ჩქამი,
და შეფარული თამაში სიტყვის;
ქმნიდა ყოველთვის სამყაროს ამინდს
ეს საამაყო და მძიმე ტვირთი.

რო ჩხრიალებს, არის ლეღე, —
ღერღავს ღარიბ კალამბურებს;
სადღაც ქარი წაიმღერებს,
ჩალა წახალამურებს.

თავის ფაჩუნს აყურადებ
(წლის ტოლია ზამთრის ღამე), —
სასუსნავი აგულადებთ
ამ პატარა საზიზღარებს.

გამოლადრა ნახრამ გული, —
კედლის ძველმა მახრა-ხურომ;
ხარ ფიქრებში თავჩარგული,
დრო?! — იცოცხლე — არ მსახურობ!

დღესაც ჩუმად დააგროვებ
ბავშვურ სათამაშოებს
(რასაც გული გვახლოვებს,
მას გონება გვაშორებს).

ბებრის როლი გაგაცინებს,
ყელში მწარედ გაჩრილი, —
სადაცაა დაგამძიმებს
ზეუნდადები ხარჯივით.

სიზმრის ნებათივი

ზოგჯერ ცხადს ისე წააგავს,
როგორც ასლი ჰგავს დედანს:
ხელს გაიშვერ და აღარ დგას,
ან დგას — და ველარ ხედავ.

ხანდახან კაი ჭირია, კაი შიშინების წყარო:
გულს რომ ხრავს, მახრის პირია,
მტერი ისმენს და ხარობს.

ნუთისოფელო, მტრიანო, ეგ ორმაგობაც მესმის.
ნუხს ქარი — ფორტეპიანო და
ქართან ერთად — ლექსი.

ამ ნუხილს ეხმაურება და სადაცაა მოვა
აღზევანიდან ურმებად ჩარიგებული გლოვა.
ცხადმაც რომ მოსვლა ინება და
თითქმის უკვე სხვა ხარ —

ხელახლა ჩაგეძინება და ცხადს სიზმარში ნახავ,
არც ბალი სემირამიდას, არც რო მაღალი მთები. —
იმ „სიზმარ-სემინარიდან“, რაც გახსოვს, იმას ჰყვები:
„რა“ და „რატო“ და „როგორ“

მოყოლილის ღოცვა

ფოთლის ცივი ლეიბი, გაყინული ძვლები.
ცურავს ტანზე საბანი — ღრუბლის თალხი ჩრდილი:
დღეა უკვე მესამე — ფეხზე ველარ ვდგები,
უმიზეზოდ ვიცი, უმიზეზოდ ვტირი.

ზოგჯერ რო ეჭვით ისმენენ, ზოგჯერ გგონია — ჯერათ.

წუხანდელი ჩვენების ასაქცევად ხინვი შემოვივლე თავზე და ამის მერე დავწვი. რა ვქნა — სინამდვილიდან გაქცევას რომ ვცდილობ, რა ვქნა — სინამდვილეში მარბუნებენ როცა; ქარი შუბლზე მაფარებს ნისლის ძმრიან ტილოს და აგრძელებს შეწყვეტილ მოყოლილის ლოცვას.

მთვრალი ღელე

წვიმას ნისლად შეიფერებს — შეწითლ-შეთეთრ-შემუქდება, ეს პატარა შტერი ღელე და მთა და ბარს ემუქრება.

წვიმა როცა გადაიარს და მზე ათბობს სოფლის სერებს: ჰგავს ნამთვრალე ადამიანს — ველარაფერს ვერ იხსენებს.

სურო

ტანმრუდე აოტება სუროთა, სხეულის გაკიდება ხე და ხე... გწყუროდა, ცახცახი გწყუროდა გეგრძნო და თითები შეახე.

ქარის და ნიავის მოჭორილს მართლა რო ცახცახით ამონმებს, აგერ რო ჩანია ქორი, აგერ, ე, იმ სერზე ამოსწევს.

ტყეების ლივლივა სამოსი, შორიდან — ზღვის მოქცევ-მიქცევა, თანდათან მინიდან ამოსვლით ღუნღულა ღრუბელად იქცევა.

წაისწრებს მოლიბრო საცეცებს, — სულ სხეების ფერებს ჩვეული, და როცა არ იცის რას ეცეს — ე, მაშინ ეზრდება სხეული.

მაცდურად უმსხვილებს „მუსკულებს“, ასწავლონ ძელქვებს და ურთხმელებს, და კერავს ხრამ-ღელე-უფსკრულებს თუ ქედებს ჭრილობებს უმთელებს.

ტანმრუდე აოტება სუროთა, სხეულის გაკიდება ხე და ხე... გწყუროდა, ცახცახი გწყუროდა გეგრძნო და თითები შეახე.

ძაფინვერ-ძაფიბალახა, მოლზე ნიავის ფართქალი; ნეტავი კაცი მანახა მე ბალახით მართალი. ნეტავი ამომაკითხა ბალახის ლურჯი რვეული, საფლაგზეც ამომაკითხავს — და ამჩატდება სხეული.

ენიება მაჯა და ენიება სუნთქვა მარტო სიტყვის კი არა, ბევრჯერ ბერის ლაღად თქმას; გაგაუჩინმაჩინა ბრილიანტის შუქმა და სტრიქონში დამარხვას გაზიარა აქატმა.

ასხლეტილი სინათლე ამ ძვირფასი ქვებიდან, ნერვებით ცახცახი, შუქ-ჩრდილების ომი, რა თქმა უნდა, ფარულად, — ჰყავს თვალბში თემიდას, როცა სიტყვას სასწორზე საგანივით სწონი.

აჭრილი განცდა

დანისპირია ეს გზა, რომელსაც ნირს ვერ შეუცვლი რამე მუქარით, არ გიყიდა, თავად მოგერთვა, როგორც სასჯელი ან საჩუქარი. ქედი სჭირდება სასჯელს ამტანი, პირველის წერა და უფლის ხსენება; ციდან მოწვეთავს ყვავის ყრანტალი, მართლა მოწვეთავს თუ მეჩვენება. მიხვალ... წამების ბილიკზე შემდგარს პირსახე მაინც გიჩანს მლიმარი; მუხლის მოდრეკა და ტაში ჩემგან, ან თანაგრძნობა და სამძიმარი. ხანდახან, განგებ შეიშლი რასმე — წინდანინ თიბავ და მერე თესავ; და ირონიულ ღიმილით თვალსველს ხელს წამოახმარ, და ხეზე შესვამ. ამტკიცებ მერე — „მამალი ყფს“ და, ამტკიცებ მერე — „ნაგაზი ყვის“...

მავანი ფიქრობს — „ჭკუაზე შეცდა“ და დამცინავად ეხსენება კბილი. აჭრილი კარტის აზუსტებ განცდას და „გუშინდელზე“ იძახი — „ხვალე“, თვალდახუჭული მიდიხარ განძთან და მერე უცბად გაახელ თვალბს. და ბოლოს... როცა ლაგდება რიგზე თეთრი და შავი იმავე ხელით, — კაცი კი არა, კურცხალი მიმზერ და აღარ იცი, ტირი თუ მღერი.

დაკეპრის ჩალა

მოხუცი მოხუცს რომ ეტყვის სალამს, რომ დგანან ერთად და უთრთით მხრები, თავს რად მახსენებს დეკემბრის ჩალა, ნალექი ხარის ბებერი ყბებით.

თურმე რა „ახლო“ ყოფილა „შორი“, წუთის კი არა, ყოფილა წამის სოფლის სიმართლე და სოფლის ჭორი ანუ ნილაბი დღისა და ღამის.

დავლილვარ, ნიშანს იძლევა მუხლი, მაჯის ხმაური და გულის ცემა, ეს ყველაფერი, ნეტავი თუ ღირს ლექსის ტკივილად და ლექსის თემად.

აღარ ბრუნდება ნასროლი ტყვია, წყალს წაყოლილი სილა და ხრეში, მე ახლა სხივზე გამდგარი მქვია და ბოლო ნერვი მიჭირავს ხელში.

ეს არის წრიდან ასხლეტის წუთი, ყოფნა-არყოფნის ეს არის ჟამი; მიჰყვება ხმელი ფოთოლი თუთის გიორგობისთვის უფერულ ამინდს.

დავყურებ მთიდან უფერულ ჭალას, ავსებულს ღამის იდუმალ ხმებით... და თავს მახსენებს დეკემბრის ჩალა, ნალექი ხარის ბებერი ყბებით.

ღამთომობი ირონიის ჳონჯი

ერთად მონატრება ყველაფრის ერთად მოყირჭების ტოლია. რა ვქნა, სახელი ვერ შევარქვი ქვეყნად მიზეზ-მიზეზ ბორიას. მაინც რას დავეძებთ, ვიკითხე ჩვენდა გასაგონად ისევე: აქეთ შენ იმშრალე, იქით — მე თვალზე მოჭარბებულ სისველეს. წასვლის წამოდულდა შიშები, დღემდე ფარულად რო მღეროდა; ადრე ცაში ხელებს ვიშვერდი, შველას ვითხოვდი და მჯეროდა. სახეს ირონია გიმოსავს, — უფრო დამთმობი და კეთილი. და ჩემს სიზმარ-სიზმარ მიმოსვლას მაინც ზამთრის ქარი შეტირის. სხვა ვინ ამომხტარა თავიდან, ჩვენ რომ ამოვხტეთ და ვიხაროთ. მზერას ეფარება ნავი და თვალში ბოლო შუქი ღიმლამობს.

კაცი — ტირიფი

და სულ ეს არის, ქვეყნად რაც გინდა, მარტის დარების გიყვარს შილიფი, დადიხარ ხალხში ლექსი-კაცი და დადიხარ ხალხში კაცი-ტირიფი. ტირიფის ტანზე ჩიტები სხედან, გახეთქვაზე აქვს გული ფეთებას, და მარილივით ემჩნევა სევდა შენს შეუმჩნეველ შემოქმედებას.



მორჩა, დაკმარცხდი

მორჩა, დაკმარცხდი ბედთან ჭიდილში, თენდება ღამე ფიქრით და ღელვით და კაკანათში გაბმულ ჩიტვივით შენი თითების შეხებას ველი.

და უკარება ქარის ტიტინში დრო თავისთავად ყველაფერს ამხელს და მთვარე, როგორც ღმერთის ტივტივა, ზღვაში ჩავარდნით აგორებს ტალღებს.

— აქ, სადაც ტანი ეზრდება ჩრდილებს, აქ, სადაც იმედს წუხილი ვერ შლის. — აქ, როგორც დედის კალთაში ჩვილი, პულსის სიხშირე იზრდება ჩემში

და შეფუთული სიბნელით ირგვლივ ოთახში ჩემი თვალბი ელავს, როგორც ბორბალი, ჩემს თავში ფიქრი ტრიალებს სწრაფად, ტრიალებს წელა.

LA BOHÈME

გახსოვს?! ის თეთრყელა ჩაიდან ახლაც დგას და ღრუბლებს აბოლებს, რამდენმა წყალმა ჩაიარა, რამდენჯერ ღილინით La bohème.

კუდიტ ქვანასროლი რაინდი ვარ, უკან მომყვებიან დევები, მარტოდ მომტირალებს წყაროსპირას თავქუდმოგლეჯილი ვეცლები.

დამრჩა ზღვებს გადაღმა სიზმარეთი, მილიარდი ღამის იგავი, ახლა ძილივით რომ დავიზარე, გახსოვს?! ჩემი თავიც ვიყავი.

ახლა შორს თეთრყელა ჩაიდან დგას და ბლუჯა ღრუბლებს აბოლებს, რამდენმა წყალმა ჩაიარა, რამდენჯერ ღილინით La bohème.

1994/02/04

თოვლია, ყინავს, მამაჩემო, გარეთ თოვლია, ოთახში ნანა ფრთხილად არწევს აკვნის პატარას, თითქოს ქარებმა გრიგალები აიყოლიეს და თებერვალსაც ჭალარები შემოეპარა.

თოვლია, ყინავს, მამაჩემო, ძმათა ომია, წრიალებ. ნეტავ რატომ იცვამ ზამთრის ფარაჯას, როცა სიცივემ მწვერვალბების თეთრი ბორნიდან ჩუმი მგ ზავრევით ბარისაკენ გადმოალაჯა.

თოვლია. ყველა დაიფანტა, ყველგან შიშია. შენ სად მიდიხარ, მამაჩემო, გარბის ქვეყანა. თითქოს გულიდან ყველაფერი ამოგიშლია, რომ შენი თავი სხვა გზისაკენ არ წაგეყვანა.

თოვლია, თოვლი, მამაჩემო, საით მიდიხარ, ნუთუ სოფლისკენ, ასე რალამ დაგაავადა, შენს ძველ ჭიშკართან ჰაუბიცა იტებს იხტიბარს და ძველ ტაბლასთან სიკვდილია მხოლოდ თამადა.

თოვლია. თითქოს ეს სითეთრე განაჩენია (ტკივილის), რასაც ყველა ელის მისი წინარე, როდესაც, მამი, ამ ოთახში გადარჩენილი, შენ გარდა, უნდა დამიჯერო, არავინაა.

თოვლია, ნანა ნელა მირწევს აკვანს პატარას, ხდება, ასეა, მხოლოდ ორნი ამ ბედს შევრჩები, უეცრად ნანას ყლუპი ცრემლი წამოეპარა და ნაეშალა შენი კოცნის ანაბეჭდები.

თოვლია, ყინავს, მამაჩემო, გარეთ თოვლია...

ნიგნია ყველაფრის თავი და თავი. ყველა დანარჩენი ნიგნიდან მოდის. თამაზ ბიბილური

ძრწონილი უნდა თამაზ ბიბილური XX საუკუნის „სამოციანელებს“ მიეკუთვნებოდა, ფაქტობრივად კი სხვაგვარად იყო. ამას მისი მარტოსული ბუნების გარდა, განაპირობებდა მრავალნიანი თავდაუზოგავი ჟურნალისტური მოღვაწეობა (გარდაცვალებამდე „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორის მოადგილე გახლდა) და ისიც, რომ მოთხრობათა პირველი კრებულის გამოცემისათვის მხოლოდ 1975 წელს მოიცალა. იმთავითვე გაცხადდა, რომ „ნიღბის“ ავტორი თანამედროვე ქართულ პროზაში ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებდა.

ასეც მოხდა: 1978 წელს გამოქვეყნდა ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური რომანი „ჟამი კითხულისა“, რომელიც უფრო ადრე დასტამბულ ვრცელ მოთხრობასთან — „ჩივილთან“ ერთად, ავტორის აღმავლობის დასტური გახდა. იგივე ითქმის რომანზეც „შვიდი ხმისა და ტოროლისათვის“ და ბრწყინვალე საბავშვო წიგნზე „ნელინადის დრონი“ (1984 და 1989 წლები; 1992 წელს კი „ნელინადის დრონისათვის“ ავტორს საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა).

„არდავინყება მოყვრისა“ — ქართველობის ერთ-ერთი ჩინებული ნიშან-თვისება, ბევრ სხვა, ჩვენი ცხოვრებიდან ნელ-ნელა გაძევებულ ტრადიციულ სიკეთესა თუ ღირსებასთან ერთად — ლამის წარსულს ჩაბარდეს.

განსაკუთრებული სიმძაფრით შეიგრძნობა ეს ქართული კულტურის იმ დიდებულ მოღვაწეთა მიმართებით, რომელნიც, იაპონელთაგან განსხვავებით, „ეროვნულ განძად“ არ არიან სახელდებულნი, თუმცა, არსებითად, სწორედ ისინი წარმოადგენენ ჩვენი ეროვნული სიამაყის წყაროს; ქართული სულიერებისა და კულტურის, მისი საიმედო მომავლის ურყევ საძირკვეს.

თამაზ ბიბილურს სიკვდილიმაც არ გაუმართლა, რადგან დიდი არეულობისა და „სიძულვილის მძვინვარების“ წლებში განეშორა წუთისოფელს. იგი აღესრულა 1992 წლის 10 დეკემბერს. თითქოს სიმბოლურია, რომ ბრწყინვალე პუბლიცისტიკური ესეი, მძაფრი ტკივილითა და წინასწარმეტყველური პათოსით აღსავსე (მაშინ ვინ იფიქრებდა, რომ სამოქალაქო თუ კუთხურ, არც ვიცი რა ვუნდოდ, — ომის ზღვარს ვუახლოვდებოდით) „სიძულვილის მძვინვარება“ მისი ბოლო მნიშვნელოვანი პუბლიკაცია გახლდათ: 1991 წელს დაწერილი ესეის გამოქვეყნება „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორის მოადგილემ, თამაზ ბიბილურმა, „მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა“, მხოლოდ 1992 წლის იანვარში მოახერხა.

საკმაოდ უჩვეულო იყო თამაზ ბიბილურის — შესანიშნავი პროზაიკოსის — შემოქმედებითი გზა: მის პირველ მოთხრობებს წარმატებულ დებიუტს ვერ ვუნოდებთ. საბედნიეროდ, კრიტიკის დროებით გულგრილობას და უნდობლობას მწერალი არ შეუშფოთებია. იგი აუჩქარებლად, დინჯად, შეუპოვრად მიჰყვებოდა თავისი შემოქმედებითი გზის სპირალს, სანამ, მისი ერთი რომანის გმირისა არ იყოს — „ქედს არ მოექცა თავზე“, სანამ მხატვრული სიმნიფის თხემს არ მიატანა.

დღევანდელი გადასახედიდან, თამამად შეიძლება ითქვას, რომ რჩეულთა იმ გუნდს, რომელიც XX საუკუნის ბოლო ორსამ ათწლეულში ქართული მწერლობის დვრიტას ადუღებდა ჩინებული პროზით — მინიატიურებით, მოთხრობებით, მხატვრულ-დოკუმენტური თხზულებებით, რომანებით, პუბლიცისტიკური თუ ლიტერატურულ-კრიტიკული წერილებითა და ესეებით — თამაზ ბიბილურიც მიეკუთვნებოდა.

...რჩეულთა იმ მცირე გუნდს, რომელიც მწერლის ნიჭიერებას, მაღალ პროფესიონალიზმს, შემოქმედებით ნაყოფიერებას, დაძაბულ სარედაქციო მუშაობას — სანიმუშო მოქალაქისა და უაღრესად პატიოსანი, სინდისიერი პიროვნების თვისებებს უხამებდა — თამაზ ბიბილურიც მიეკუთვნებოდა.

ჩრდილში ყოფნას შეჩვეულმა, თავმდ-

აბალმა და მშვიდმა, შესანიშნავად იცოდა თავისი შემოქმედების ჭეშმარიტი ფასი. პირად ცხოვრებაში — განონანსორებულ და, თვალის ერთი შეველებით — მშვიდ და ფრთხილ ადამიანს, შემოქმედებაში მძაფრი, ყოვლისმომცველი ვნებები იზიდავდა.

სიცოცხლის დასასრულამდე ცდილობდა, ჩასწვდომოდა პროზის კანონთა ნიუანსებს და თავის თხზულებათა სრულყოფისათვის გამოეყენებინა — თუმცა, გაუმართლებელ ექსპერიმენტებს მუდამ ერიდებოდა. ღრმად ერუდირებულ ავტორს, მსოფლიოს უახლესი პროზის ხერხების დაუფლება და „გაქართულება“, მათი ეროვნულ სამოსში შეტურვა და საკუთარი სტილისათვის მისადაგებაც უცდია.

ლალი ავლიანი

ქლიერი და გაუტეხელი



საუბედუროდ, მწერლის „თხემზე ყოფნის“ ჟამი სულ რაღაც ათიოდე წლით შემოიფარგლა, არსთა გამრიგემ, საბედნიეროდ, ეს ჟამი შემოქმედის შესაშური ნაყოფიერებით და უკვე მძიმედ დასწვდებულ თამაზ ბიბილურის თავდაუზოგავი, გამრული შრომისუნარიანობით აღბეჭდა.

სხვა, მის ადგილას, წლობით მიეჯაჭვებოდა სარეცელს, ის კი მუშაობდა მინაც და გარეთაც; მუშაობდა ზოგჯერ იმედგადაწურული, მაგრამ იმისი ნათელი შეგნებით, რომ მუშაობდა — მომავლისათვის. ეს კი ნამდვილი გმირობის ტოლფასი იყო.

სევდა და ნაღველი თან სდევდა სიცოცხლის მიმწუხრს; მხოლოდ ოჯახური სითბო და მეგობრების გულწრფელი თანადგომა თუ უმსუბუქებდა ხვედრს; ამომკურნალობით გატანჯული, კაეშნიანი თვალებით — იმჟამინდელი თბილისის აბსურდული ყოფის ფონზე, რასაც ძლიერ განიცდიდა — ასე ჩამოწა მესხიერებაში მანაბლის ქუჩაზე უკანასკნელად ნანახი თამაზ ბიბილური.



უდროოდ წასული მწერლის შემოქმედება დღეს ისტორიის კუთვნილებაა და თანამედროვე ლიტერატურული პროცესის განუყოფელი ნაწილიც. ზოგი თხზულება, თითქოს „რელიქტურად“ რომ აღიქმება („ჟამი კითხულისა“ ან „ჩივილი“), საოცრად ეხმიანება ჩვენს დღევანდელობას. საყოველთაო გლობალიზაციის ფონზე, ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის დაკნინება-ნიველირების საფრთხის წინაშე — განუზომელია „ნელინადის დრონის“ მნიშვნელობა.

თამაზ ბიბილურს ჰყავდა დიდი მასწავლებლები — ნიკო ლორთქიფანიძე, რომლისგანაც დახვეწილი ლაკონიზმი აითვისა; „ნატვრის ხის“ ავტორი გიორგი ლეო-

რიცხოვან შეკითხვებზეც ამომწურავი პასუხი გაუცია.

დასასრულს, უაღრესად განათლებულ და ლიტერატურაზე შეყვარებულ ქალბატონს, სტუდენტების უსაყვარლეს პროფესორს ვიოლეტა ცისკარიძეს ახალგაზრდების ყურადღება მიუპყრია იმ იშვიათი გარემოებისათვის, რომ ქართველ მწერალს, საათნახევრიან ზეპირ მოხსენებაში ერთი უცხო სიტყვაც კი არ დასჭირვებია...

ლიტერატურისადმი მიძღვნილი წერილების კრებულს („მცირე სარკმელი, 1988 წელი) თამაზ ბიბილურმა ამგვარი წინათქმა წარუძღვარა: „მივხვდი, რომ ლიტერატურას და იმ ცხოვრებას, რომელიც ლიტერატურას კვებავს, მხოლოდ ჩემეული მცირე სარკმელიდან ვუცქერდი, ვხედავდი იმას, რისი დანახვაც შემეძლო ან რისი დანახვაც ვერ ვერობით მოვასწარი. ლიტერატურა ვრცელია, როგორც ჩვენი დედამიწა. მცირე სარკმლიდან კი ყველაფერი არ ჩანს...“ მწერლის ობიექტივიზმსა და თავმდაბლობაზე მიგვანიშნებს ესეც: „ახლის, ჯერ ართქმულის თქმა, საერთოდ, უაღრესად ძნელია. ამას იშვიათად მუ ვინმე ახერხებს და იმათაც გენიოსებს უწოდებენ ხოლმე. მაგრამ მწერლობა მარტო გენიოსებით დასახლებული მატერიკი ხომ არ არის...“

ახლა, როცა საკუთარი „ნიჭით“ ტკობა მწერალთა გარკვეული ფენისათვის ნორმად იქცა, განსაკუთრებით გვიხილავს თამაზ ბიბილურის თქმული, უპირატესად, მის მაღალ პროფესიონალიზმზე რომ მეტყველებს.

ახლა სხვა დროა, „ცაში ასახედად ვერავინ იცლის“ (ესეც თამაზ ბიბილურის სიტყვებია); მაგრამ სწორედ მისი შემოქმედებაა ის პატარა სარკმელი, საიდანაც მუდამ მოჩანს ცა...

თამაზს ჩვეულებრივ საუბარში უყვარდა განზოგადებები: გარკვეულ ადამიანთა ჯგუფის, „კლანის“ — ნაცვალსახელით მოხსენიება. მარტო მის თხზულებებში კი არ ჩანდა დახვეწილი იუმორი, მის საყველუპრო საუბარშიც აისახებოდა; პირადად ვინმეს დასახელებას, დაუნდობლად გაკენწვლას, თუნდაც დამსახურებულ გაბაიბურებას ერიდებოდა.

ამიტომაც ჩემს შეკითხვაზე — უდიდესი მწერლის დავით კლდიაშვილის საიუბილეო თარიღი რომ ახლოვდება, რატომ ყურს არ იბარტყუნებენ-მეთქი (მწერალთა კავშირი მყავდა მხედველობაში), ასე მიპასუხა: ლალ, რთ ვერ გაიგე, სანამ დავით კლდიაშვილი საფლავიდან არ ადგება და არ მოითხოვს, იუბილე გადამიხადეთო, ესენი არაფრის გამკეთებლები არ არიან, თავისი იუბილეები აქვთ გადასახდელიო...

მაღალფარდოვნებას (საუკეთესო გაგებით) პროზაში თამაზი არ ერიდებოდა; პირადი საუბრისას კი გაუბრუნდა, სხვების ნაუბარსაც მახვილგონივრულად და საკმაოდ მწარედ აქილიკებდა უადგილო ენამზეობისათვის.

სულთ ძლიერი და გაუტეხელი თამაზ ბიბილური სახულიდაც არ დაგიდევდათ ვაჟკაცის სახელს.

ერთ ხვავრიელ თოვლიან ზამთარში ფეხით წავედით ქალაქგარეთ, თუ არ ვცდები — ბეთანისკენ. თამაზს შეუფერებელი ფეხსაცმელი ეცვა და მალე უკან დაბრუნება მოისურვა. დანარჩენებს მაინც გვიჩინოდა გზის გაგრძელება. თამაზი გაჯიუტდა. ეტყობა, ფეხები მოეყინა. ერთხელ კიდევ მოვსინჯე ბედი და დავამუნათე — რა მოგივიდა, ვაჟკაცი კაცი ხარ და ფეხის დასველების გეშინია-მეთქი? თამაზი არ წამოეგო ანკესზე — იპ, რა ვაჟკაცი მე ვარო — გულგრილად მიპასუხა. არადა, ფეხით ჰქონდა მოვლილი საქართველოს მთაც და ბარც.

ტყუილად კი არ იყო ღრმა ფსიქოლოგიური რომანების ავტორი: არ გამოეპარებოდა ადამიანის ბუნების არც ერთი წერილმანი. როცა ჩვენმა მეგობარმა (თოვლიანი „ავანტიურის“ უღებლო თანამონაწილემ) დიდი ხნის უნახავ თამაზს უთხრა დამშურად, გულწრფელად, მაგრამ მაინც ჰიპერბოლის მოშველიებით — სადა ხარ დაკარგული, ვერ ვუძღებ ამდენ ხანს შენს უნახავობასო — თამაზმა ხითხითით მიუგო: რას იზამ, უნდა გაუძლო, ასეთია ცხოვრებაო!

დასასრული

თავისი საღამოებით, ლექციებითა და დისპუტებით ხელოვნათა სახელმძღვანელო მიზნულთა ცენტრია. მიუხედავად პროლეტარულ რევოლუციის დესტრუქციული მიზნებისა, აქ ჯერ კიდევ არსებობს ნამდვილი ხელოვნების სული და მწველი ატმოსფერო. იბეჭდება საერთაშორისო და უფრო მეტი პროზაული ტექსტები. პრესის მრავალფეროვნება, გამოცემათა ხარისხი და აკადემიურობა პიკს აღწევს (რად ღირს თუნდაც პავლე ინგოროვიჩის „კავკასიონი“ — 1924). არადა, გეგმის სიმძვინვარე — 1924). არადა, გეგმის სიმძვინვარე...

მწერალთა კავშირში მიღების შემდეგ საფო ქალთა ჟურნალ „ჩვენი გზის“ მუდმივი თანამშრომელი ხდება და თავის ძალებს თითქმის ყველა ჟანრში ცდის. აქვე იბეჭდება მისი ლექსი ლენინის გარდაცვალებაზე, რომელსაც ყველა ერთხმად უქებს. ჩვენ გვაჯობო — ერთხმად ეუბნებიან უკვე შემდგარი მწერლები. იგი ერთხანს დარწმუნებული იყო, რომ სწორედ თბილისია ის ადგილი, სადაც, ბოლოს და ბოლოს, საკუთარ თანამოაზრებთან მოაღწია, სადაც გაუგებერ და ხელს გამოუნჯიან, რადგან არსებობს მთავარი — საერთო მიზნით განპირობებული ურთიერთმიზიდულობა: „დღეს ერთი გზა აქვს პოლიტიკას და ხელოვნებას, / თავისუფლება და ისახა ორივე მიზნად“.

ამიტომაც ესწრება მწერალთა სახლში გამართულ თითქმის ყველა ღონისძიებას. ალტაცებში მოჰყავს, მაგალითად, გრიგორი რობაქიძის ლექციას, შემდეგ კი მისივე პიესის, „ლამარას“, პრემიერას. ორივე ამ მოვლენას ლექსებს უძღვნის. აქედან პირველი ტრადიციული აღფრთოვანების გამოხატვლი მიძღვნის კვალობაზე ზედმეტად ინტიმურია: „სად იყავ დღემდის, რომელ კალთას ეფარებოდი? / ვის ჰყავდი ტყვედა, ამორსადეხს თუ...ჯადოქარებს? / გაჩენის დღიდან შენ მიყვარდი, შენ ერთს გელოდი, / გიპოვე და მეც შემოვანგრევი მაგ გულის კარებს... / მაგ ამაყ სახეს მე გადავწვავ გიჟურ აღერსით / და ცეცხლის ფრთებით გაგიტაცებ მზიურ მხარეში“. ამას მოჰყვებიან სხვა ადრესატებიც: გალაკტიონ ტაბიძე, პაოლი იაშვილი, ტერენტი გრანელი, იოსებ გრიშაშვილი, ბაბილინა ხოსიტაშვილი, ალიო მირცხულავე. ეს ლექსები სხვადასხვა ნლებშია შექმნილი. არა მარტო პოეზიაში, არამედ პროზაშიც საფო არა იმდენად წარმოსახვისა და შთაბეჭდილების ტექსტებს ქმნის, რამდენადაც უშუალოდ განცდილ-გააზრებულს, ანუ „გამოცდილების ლიტერატურას“, როგორც იმავე სიმონა ბოფუარმა უწოდა ქალთა შემოქმედებას.

ბუნებით მებრძოლია, თავდაჯერებულ-იცი („მინდა ბრძოლა მედგარი, თავი არ მოვიხარო... / მინდა დავიმორჩილო ბედი მუდამ გამწყრალი“). ლექსებსაც დიდი პათოსით წერს. ამას ითხოვს რეალიზმის უკვე არსებული და ეპიგონიზმით საკმაოდ პროფანირებული ტრადიცია, მიმეტური ხედვა, კონვენციური ლექსისთვის დამახასიათებელი ინტონაცია, მთავარი იდეის მონოლოგიზმის, ერთგვარი ზეანევის სურვილი და, ცხადია, მეტაფორული აზროვნებაც. თითქმის არ იგონობა მოდერნიზმის გავლენა. თითქოს სადაც შორს გაცხადდა „არტისტიული ყვაილებების“ პოეტიკა, „სანავარდოს“ და „დიონისის ღიმის“

თავებრუდამხვევი სიახლე, რომ არაფერი ვთქვათ, „ჯაყოს ხიზნებსა“ და „გველის პერანგზე“. ცოტა მოგვიანებით, როდესაც იგი პროზას ჩაუჯდება და, რომ იტყვიან, „კალმის ერთი მოსმით“ შექმნის იმ სამ რომანს („ლიანა ლორდია“, „ქარაშხლის ფრთებზე“, „გზადაგზა“), თავს იჩენს ერთი პარადოქსი ან იქნებ სულაც კანონზომიერება. თურმე აქამდე წარმოდგენილი პოეტური თუ პროზაული ტექსტები, რომელთა დიდი ნაწილი დროის იმ ლოკალისტების მონივრე იდეების აქტუალიზებას და მწერლობაში თვითდაპყვიდრებას ემსახურებოდა, სინამდვილეში მოსამზადებელი პერიოდი აღმოჩნდა იმისთვის, რომ მწერალს საკუთარი ხმა ეპოვა, ანუ თავისი მთავარი თემისთვის მიეგნო. ეს მთავარი თემა კი ზე-

და აღიაროს ქალური კულტურის ავტონომიურობა. საზგასამით უნდა აღინიშნოს, რომ რიტმით, სახეების და ლირებულეების თვალსაზრისით, ეს ცხადია, ფემინური წერა უფროა, ვიდრე ნავგვიანევი რეალიზმის უწყინარი ნიმუში. ამიტომაც მამაკაცთან აქ არა კლასობრივი, არამედ სწორედ რომ გენდერული კონფლიქტია გამოხატული. შეგვიძლია მხოლოდ წარმოვიდგინოთ, რამდენად სჭირდებოდა მამინდელ მკითხველ აუდიტორიას ქალის თუნდაც ილუზორული „გამარჯვება“ მამაკაცზე, რომ ასეთი ისტერიით შეხვდა საფოს „ლიანა ლორდიას“ ჩანაფიქრს, რომელსაც, როგორც ვთქვით, მხატვრული ხორცშესხმა აკლდა (რომანის ტექსტს ხელით ინერდენ და ისე გადასცემდნენ ერთმანეთს). იდ-



ნონა კუპრეიშვილი
**საფოს
ჰნეზანი**

მოთ ნახსენებ „ჩემი ცხოვრების ნამდვილ ამბავში“ მთელი სისრულით იმლება და ეს ეგრეთ წოდებული ქალთა საკითხია. „განათქვეწ იხა ხარო, რაც გინდაო რომ იყო?“ (შეადარეთ სარტრის ზემოთ დამონებული ციტატას) — ამ აშკარად პროვოკაციული კითხვით გამოხატული უკმაყოფილება კვებავს მის მოუსვენრობას, რომელსაც შლიეფად მოჰყვება „შიში არარაში შთანთქმის წინაშე“, მარტობა, თვითშეცნობისა და თვითგამორკვევის სირთულე („რად გავჩნდი ასე უხეიროდ და რა თიხაა ის თიხა, რომლიდანაც ბუნებამ მე გამომკვეთა... ვის შეუძლია, გამიგოს, როდესაც მე თვითონ არ ვიცი რამე ჩემს თავს...“).

მართალია, „ლიანა ლორდია“ წერას თბილისში ჩამოსვლისთანავე იწყებს, მერე ხელნაწერს თვით ვახტანგ კოტეტიშვილს მიუტანს, (ისიც ურჩევს, დაბეჭდოს), თუმცა ერთ-ერთ რედაქციაში მიმავალს დაეკარგება (ალბათ, რომელიმე ჯიბიდან შეხვედრი ბონები ეგონა და ამომაცალაო — თვითონ ასე ხსენის ამ უსიამოვნო მოვლენას). იძულებულია, ისევ ჩაუჯდეს და მთელი ტექსტი რამდენიმე თვეში ალაღვინოს, რის გამოც რომანი სტილით და სათქმელის დეკლარირების სხვა ხერხებითაც ნედლმასალას უფრო ემსავლება, ვიდრე დასრულებულ მხატვრულ ნაწარმოებს. არადა, ავტორს დიდი სურვილი აქვს „ახალი ქალის“ ტიპი დახატოს, წარმოდგინოს იგი ონტოლოგიური ბინარიზმის „მე/სხვა“ ოპოზიციის ჩრდილში, სადაც „სხვა“ მამაკაცია, რომელსაც მკაცრად უნდა მიუთითონ, დაიცვას თანაბროფლებიანობის კანონი

ეალური მამაკაცის მამიებელი ლიანა ლორდიასა და მისი „მსხვერპლის“, თამაზ ზურაბიძის, სახეები მხატვრულად არადაძაჯვრებული და სქემატურია, რადგან სახეს აქ აშკარად ჩრდილავს იდეა . 1926 წელს რომანი უნდა გამოეცა გაზეთ „ტრიბუნას“ თანამშრომელს, პარმენ ჭანიშვილს, მაგრამ ვერ მოხერხდა. 1928 წელს კი ავტორმა ის ქველმოქმედი გამოცემის ლუარსაბ ხელაძის დახმარებით დაბეჭდა (ხელაძემ საფოს 1931 წელს ნისიად პოემა „ბახმარო“ და მისი ლექსების პირველი კრებული „პრელუდია“ დაუბეჭდა). შემდეგ კი ამუშავდა სასურველი იდეის, ავტორი-ქალის გამბედაობისა და ადვილი კითხვის სინთეზის მაგია, რომელიც, როგორც ცნობილია, ერთმანეთთან გარკვეულ რეაქციაში შედის და დიდ ეიფორიას იწვევს: „ლიანა ლორდიას“ მოითხოვდნენ მაღაზიებში, ბუკინისტებში, მოდიოდნენ ჩემთან ნიგნის სათხოვნელად. საჭიროდ შეიქნა მისი ხელმეორედ გამოცემა...“ — ვკითხულობთ ჩანაწერებში (რომანის 1934 წლის გამოცემას ეცნობა მამინ ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი ლადო ასათიანიც. განსხვავებულად მოაზროვნე ავტორი მისთვის საოცნებო ქალად იქცევა, წიგნს კი უბით ატარებს). ლევან ბრეგვიძის აზრით, ასეთი ლიტერატურა კიტჩს უნდა მივაკუთვნოთ, რომელსაც მკითხველის წიგნით დაინტერესების საქმეში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია. კრიტიკოსების მიერ ქალთა შემოქმედების სრული იგნორაციის პირობებში („კრიტიკოსები ქალებზე ლაპარაკს არ კა-

მარიჯანი: „არ მომწონს შენი ლიანა. ქალი ქალი უნდა იყოს, მე რომ მესმის, ისეთი“, ბაბილინა: „შენი ქალი პასიურია, ის სულ ოთახში ზის, მაგრამ პროზას მაინც კარგად წერ...“, იოსებ გრიშაშვილი: „სად საფო მგელაძე და სად სიყვარულზე წერა...“ „ვიწყებ ბუნებას კანონებს უსწორებს, ის დამარცხებული იქნება ბუნების მიერ“ — ეს უკვე მიხეილი ჯავახიშვილია. დაიხ, ისიც ჩნდება რეალურ პერსონაჟთა ამ გალერეაში. მეტიც, 1933 წელს, „მნათობის“ მამინდელი რედაქტორის, გიორგი ყურულაშვილის, საფოს სიტყვებით, „რინდული დახმარებით“ მესამე რომანის „გზადაგზას“ პირველი ნაწილის ამავ ურნალში გამოქვეყნების შემდეგაც ჯავახიშვილი მწერალ ქალს კვლავ არსებით შენიშნავს აძლევს: „ბელეტრისტიული ნაწარმოები არ უნდა დამძიმდეს პუბლიცისტკით“. თუმცა საფო მყარად დგას თავის პოზიციაზე და სულაც არ დაგიდევთ ჯავახიშვილის ლიტერატურულ რეპუტაციას: „ბუნებას კანონს ვერ შევესწორებო, მაგრამ იმის უფლება ხომ გვაქვს, არ დავემორჩილოთ ამ კანონებს და უარი ვუთხრაო იმ მოჩვენებით ბედიერებას, მამაკაცები რომ გვაძლევენ... როგორ ვუყურებ მამაკაცს? უნდობლად. ვუკვირებო, ვსიზჯავ, ვაკრიტიკებ, ვუფრთხი და, მიუხედავად ამისა, მე მონაზონი არ ვარ... მამაკაცში მამაკაცის გარდა ვერაფერი აღმოვაჩინე, მე კი სულ სხვა რამეს დავეძებდი. მამაკაცს მეგობარს, მამაკაცს მასწავლებელს, მამაკაცს სულის და გულის მესაიდუმლეს და ვერ ვიპოვე იგი...“, რაზედაც მიხეილი პასუხობს: „ეს

ჯონ მაქსველ კუტზე ტყუილება



საყვარელო ნორმა, სან-ხუანის ერთადერთი სასტუმროდან გწერ. შუადღეს დედა მოვიწახულებ — მტანჯველ გზაზე ნახევარი საათი დამჭირდა. მისი მდგომარეობა ისეთივე ცუდია, როგორც ვფიქრობდი და უარესიც კი. ყავარჯნის გარეშე ვერ დადის და მაშინაც ძალიან ნელა. საავადმყოფოდან დაბრუნების შემდეგ კიბეზეც ვეღარ ახერხებს ასვლას. სასტუმრო ოთახში ტახტზე სძინავს. სცადა, რომ კაცებს მისი საწოლი ქვემოთ ჩაეტანათ, მაგრამ უთხრეს, რომ in situ იყო აგებული, ნაწილებად დაშლის გარეშე ვერ მოშორდებოდა (პენელოპეს არ ჰქონდა ასეთი საწოლი? ჰომეროსის პენელოპეს?). მისი წიგნები და გაზეთებიც ზემოთაა — ქვემოთ მათი ადგილი არ არის. ღიზიანდება, ამბობს, რომ უნდა, თავის მაგიდას დაუბრუნდეს, მაგრამ არ შეუძლია.

იქ კაცია, სახელად პაბლო, რომელიც ბალის მოვლაში ეხმარება. ვიკითხე, საყიდლებზე ვინ დადის-მეთქი. დედამ მითხრა, რომ პურით, ყველითა და ბალის მოსავლით ცხოვრობს, რომ მეტი არ სჭირდება. მიუხედავად ამისა, მაინც ვკითხე, არ შეიძლება, სოფლიდან ვინმე ქალი მოეყვანა, რომელიც საჭმელსაც მოამზადებდა და სახლსაც დალაგებდა? არ მისმენდა — სოფლის მცხოვრებლებთან კავშირი არ მაქვსო. აბა, პაბლო? ვთქვი მე — პაბლო არ არის სოფლის ნაწილი? პაბლო ჩემი მოვალეობაა, მიპასუხა მან. პაბლო სოფელს არ ეკუთვნის.

როგორც ხედავ, პაბლოს სამზარეულოში სძინავს. არც აქეთაა, არც იქით, თუ როგორც ითქმის. რა ვიცი, მგონია, რომ იდოტია, მიაბიტი. მთავარი არც მისხელება: მინდოდა, მაგრამ გამბედაობა არ მეყო. ხვალ რომ ვნახავ, მაშინ ვიზამ. ვერ ვიტყვი, რომ იმედინად ვარ. ჩემ მიმართ ცივია. ვეჭვობ, მშვენივრად იცის, რატომაც მოვედი. ძილი ნებისა. ბავშვებს ჩემ მაგივრად მოესიყვარულე. ჯონი.

— დედა, შეიძლება, შენი საცხოვრებელი სიტუაცია განვიხილოთ? შეიძლება, მომავალზე ვისაუბროთ?

დედამისი, ძველ მყარ სავარძელში მჯდომი, რომლის დურგალიც უეჭველად ის კაცი იყო, ვინც უძრავი საწოლი დაამზადა, სიტყვასაც არ ძრავს.

— უნდა იცოდეთ, რომ მე და ჰელენი შენზე ვდარდობთ. ერთხელ უკვე დაეცი ცუდად და მხოლოდ დროის ამბავია, ეს როდის განმეორდება. ასაკი არ გაკლდება და ისეთ სახლში ცხოვრება, სადაც ასეთი დამრეცი

კიბეა და არც მეზობლებთან გაქვს კარგი ურთიერთობა... გულწრფელად გეტყვი, ასეთი არსებობა არ გამოვა... აღარ.

— არ ვცხოვრობ მარტო, — ამბობს დედა, — პაბლო ჩემთან. პაბლო მყავს, რომ დავეყრდნო.

— გეთანხმები, პაბლო შენთან ერთად ცხოვრობს. მაგრამ მართლა შეძლებ მას გასაჭირისას მიენდო? მაშინ დაგეხმარა? საავადმყოფოში დარეკვა რომ არ შეგძლებოდა, ახლა სად იქნებოდი?

მაშინაც კი, როცა ამ სიტყვებს ამბობს, იცის, რომ შეცდომას უშვებს.

— სად ვიქნებოდი? — პასუხობს დედამისი, — ისე ლაპარაკობ, თითქოს პასუხი უკვე იცი, ამიტომ რაღას მეკითხები? სავარაუდოდ, მინის ქვეშ ვიქნებოდი და მატლები შემსანსლავდნენ. ეს უნდა ვთქვა?

— დედა, გთხოვ, სიტუაცია კეთილგონივრულად შეაფასე. ჰელენი ეძებდა და ორი ადგილი იპოვა თავისთან ახლოს, სადაც კარგად მოგხედავენ და სადაც გვგონია, რომ თავს ისე იგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში. შეიძლება, მოგიყვებ?

— ორი ადგილი... ადგილებში თავშესაფრებს გულისხმობ? თავშესაფრებს, სადაც თავს ისე ვიგრძნობ, როგორც სახლში?

— დედა, რაც გინდა, ის შეგიძლია უნოდო, დასცინო ჰელენსაც და დამცინო მეც, მაგრამ ეს ფაქტებს არ ცვლის — ცხოვრების ფაქტებს. აქამდეც შეგემთხვა უბედურება, რომლის შედეგადაც უკვე იტანჯები. შენი მდგომარეობა არ გაუმჯობესდება. პირიქით, ალბათ გაუარესდება. გიფიქრია, როგორი იქნება ამ მივიწყებულ სოფელში ლოგინად ჩავარდნა და მომვლელად კი მხოლოდ პაბლო? გიფიქრია, როგორი იქნება ჰელენისა და ჩემთვის იმის ცოდნა, რომ მოვლა გჭირდება, მაგრამ ვერ გივლით? ყოველ შაბათ-კვირას ათასობით კილომეტრის გადმოფრენა არ შეგვიძლია, ეს ხომ იცი?

— არც ველოდები, რომ მაგას იზამთ.

— არ ელოდები, მაგრამ ამის გაკეთება მოგვიწევს. როცა ვილაგ გიყვარს, ეს უნდა გააკეთო. ამიტომ გთხოვ, სანამ ალტერნატივას გთავაზობ, ხელი შემიწყვე და ჩემად მომისმინე — ხვალ ან ზეგ, ან მაზეგ მე და შენ აქაურობას დავეტოვებთ და ჰელენთან წავალთ ნიცაში. სანამ წავალთ, ყველაფრის ჩალაგებაში დაგეხმარები, რისი ნაღებაც მოგინდება. ყუთებში ჩავაწყობთ და როცა მოენყობი, ეს ყუთები გადასაზიდად მზად იქნება. ნიციდან მე და ჰელენი იმ ორ სახლში წავიყვანთ, რომლებიც ვახსენე — ერთი ანტიბშია, მეორე კი — გრასის შემოგარენში. შეგიძლია, ისინი დაათვალი-

ერო და ნახო, თავს როგორ იგრძნობ. საერთოდ არაფერს დაგაძალბებთ. თუ არცერთი მოგენონება, ასეც იყოს. სანამ სხვა ადგილს მოვძებნით, შეგიძლია, ჰელენთან დარჩე. უამრავი დროა. უბრალოდ გვინდა, რომ ბედნიერი იყო. იყო ბედნიერად და უსაფრთხოდ. ესაა ჩვენი მიზანი. გვინდა, ვიცოდეთ, რომ თუ რაიმე მოხდება, დასახმარებლად ვილაგ გეყოლება. ვიცი, რომ თავშესაფრები არ მოგწონს, დედა. არც მე მომწონს. არც ჰელენს. მაგრამ ცხოვრებაში ისეთი დროც დგება, როცა კომპრომისზე უნდა წავიდეთ და ავარჩიოთ, რომელი სჯობს — რა გვინდა ჩვენ თუ რა იქნება ჩვენთვის უკეთესი. ერთის მხრივ, დამოუკიდებლობა, მეორე მხრივ, უსაფრთხოება. აქ, ესპანეთში, ამ სოფელში, ამ სახლში, უსაფრთხოდ ვერ იქნები. ვიცი, არ მეთანხმები, მაგრამ ესაა სასტიკი რეალობა. შეიძლება, ავად გახდეთ და ეს ვერავინ გაიგოს. შეიძლება, კიდევ ერთხელ დაეცე და გონება დაკარგო, ან კიდურები მოიტყუო. შეიძლება, მოკვდე.

დედამ ხელი აიქნია.

— ის ადგილები, რომლებსაც მე და ჰელენი გთავაზობთ, ძველი ყაიდის არაა. კარგად მორთული, კარგად მოვლილი, კარგი მეთვალყურეობით. ძვირია, რადგან კლიენტებისთვის არაფერი ენანებათ. იხდი და სამაგიეროდ უმაღლესი ხარისხის მზრუნველობას იღებ. თუ ისე გამოვიდა, რომ გადასახადი პრობლემაა, ჰელენი და მე ხელს სისარულით შევიწყობთ. შენი პატარა ბინა გექნება. გრასში კი შეიძლება პატარა ბალიც გქონდეს. საკვები შეგიძლია, რესტორანში ჭამო ან ბინაზე მოატანინო. ორივეგან სპორტული დარბაზი და საცურაო აუზია. სამედიცინო პერსონალი ყოველთვის მზადაა, ფიზიოთერაპევტებიც. შეიძლება სამოთხე არ იყოს, მაგრამ შენს მდგომარეობაში მყოფი ადამიანისთვის საუკეთესო არჩევანია.

— ჩემი მდგომარეობა, — ამბობს დედა, — და შენი აზრით, რა არის ზუსტად ჩემი მდგომარეობა?

გალიზიანებული კაცი ხელს აიქნევს.

— გინდა, გითხრა? — პასუხობს, — მართლა გინდა, რომ სიტყვასიტყვით გითხრა?

— კი. უბრალოდ სცადაე და სიმართლე მითხარი.

— სიმართლე ისაა, რომ მოხუცი ქალი ხარ, რომელსაც მზრუნველობა სჭირდება და პაბლოსნაირი კაცი ვერ დაგეხმარება. ქალი თავს აქნევს.

— ეგ სიმართლე არაა. სხვა სიმართლე მითხარი, ნამდვილი სიმართლე.

— ნამდვილი სიმართლე?
— ხო, ნამდვილი სიმართლე.

საყვარელო ნორმა, „ნამდვილი სიმართლე“ ეს იყო, რაც ჩემგან მოითხოვა. ან იქნებ შემევედრა. კარგად იცის, რაც არის ნამდვილი სიმართლე, ისევე, როგორც მე. ამიტომ ამ სიტყვების თქმა ისეთი ძნელი არ უნდა ყოფილიყო და საკმარისად გაბრაზებულიც ვიყავი, რომ ეს გამეკეთებინა. გაბრაზებული, რადგან ამხელა გზაზე იმ მოვალეობის შესასრულებლად უნდა წავსულიყავი, რომლის გამოც არც შენ, არც ჰელენი და არც მე მადლობას არ მივიღებდით. ყოველი შემთხვევისთვის, ამ სამყაროში არა. მაგრამ არ შემეძლო. არ შემეძლო მისთვის პირში მეთქვა ის, რისი დანერაც ახლა, შენთან შემოძლია: ნამდვილი სიმართლე ისაა, რომ კვდები. ნამდვილი სიმართლე ისაა, რომ ცალი ფეხი უკვე სამარეში გიდგას. ნამდვილი სიმართლე ისაა, რომ ამ სამყაროში დაუცველი ხარ და ხვალ უფრო დაუცველი იქნები და ასე გაგრძელდება მანამ, სანამ ერთ დღესაც ვეღარავინ დაგეხმარება. ნამდვილი სიმართლე ისაა, რომ ახლა არჩევანის საშუალება არ გაქვს. ნამდვილი სიმართლე ისაა, რომ არას ვერ იტყვი. ვერ ეტყვი არას საათის წიკნის. ვერ ეტყვი არას სიკვდილს. როცა სიკვდილი გეტყვის, მოდიო, თავი უნდა დახარო და მიხვიდე. ესე იგი, უნდა დათანხმდე. ისწავლო, როგორ თქვა — კი. როცა ვიტყვი, მიატოვე სახლი, რომელიც შენ შექმენი ესპანეთში, მიატოვე შენთვის ნაცნობი ნივთები, წამოდი და იცხოვრე... დიახ, თავშესაფარში, სადაც გვადელუპელი ექთანი დილაობით ფორთოხლის წვენიც ჭიქითა და მხიარული მისალმებით გაგაღვიძებს (Quel beau jour, Madame Costello!). არ შეკრა წარბები, ნუ გაჯიუტდები. თქვი — კი. თქვი — გეთანხმებით. თქვი — თქვენს ხელში ვარ. გული არ გაიტყუო.

საყვარელო ნორმა, დღე მოვა, როცა შენთვისაც და ჩემთვისაც საჭირო იქნება სიმართლის გაგება, ნამდვილი სიმართლის. ამიტომ, შეგიძლია, შევთანხმდეთ? შეიძლება, დავპირდეთ ერთმანეთს, რომ არ მოვატყუებთ, რომ რაც არ უნდა ძნელი იყოს ამ სიტყვების თქმა, მაინც ვიტყვით: „არაფერი გაუმჯობესდება. პირიქით, გაუარესდება და გაუარესდება მანამ, სანამ გაუარესებას ვეღარ მოახერხებ, მანამ, სანამ ყველაზე უარესი არ იქნება?“ შენი მოსიყვარულე ქმარი, ჯონი.

თარგმანა ელისაბედ ფირცხალავამ



ლიტერატურული გაზეთი

საქართველოს კულტურის,
საორბიტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
საქართველოს მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტი

რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ჟურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940



9 772346 794004